იურიდიული ფაკულტეტი

ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ფაქტორები და მათი პრევენცია

ავტორი - ლერი ზეინკლიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი - სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
არჩილ შეყლაშვილი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

2020 წელი, თბილისი, 0156, საქართველო

ავტორი: ლერი ზეინკლიშვილი

თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

ჩვენ, ქვემეორე ხელისმომწერნი ვადასტურებთ, რომ გავეცანით **ლერი ზეინკლიშვილის** მიერ შესრულებულ ნაშრომს დასახელებით: **ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ფაქტორები და მათი პრევენცია** და ვაძლევთ რეკომენდაციას განხილულ იქნას თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის საგამოცდო კომისიის მიერ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თარიღი:

ხელმძღვანელი: არჩილ შეყლაშვილი, სამართლის დოქტორი

.....

ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი

.....

ავტორი:

ნაშრომი: „**ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები, ფაქტორები და მათი პრევენცია**“

სკოლა: სამართლის

საგანმანათლებლო პროგრამა: სისხლის სამართალი

ინდივიდუალური პიროვნებების ან ინსტიტუტების მიერ ზემოთ მოყვანილი ნაშრომის გაცნობის მიზნით მოთხოვნის შემთხვევაში მისი არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლება მინიჭებული აქვს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტს.

_____

ავტორის ხელმოწერა

რეზიუმე

ნაშრომის მიზნად ისახავს, ნაშრომის ავტორის შესაძლებლობის და მოცემულობის ფარგლებში აღწეროს და გარკვეული სიზუსტით გადმოსცეს ის პრობლემები, რომლის წინაშეც დგას დღეს სახელმწიფო, საზოგადოება, თუ თითოეული ოჯახი. რადგან ვფიქრობ რომ მნიშვნელოვანია, თითოეული იურისტის მიერ დანახული პრობლემები და მისი გადაჭრის გზების ძიება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისათვის. ინდივიდის უფლებას, ცხოვრობდეს პიროვნული უსაფრთხოების ატმოსფეროში, შიშის გარეშე, განვითარდეს საკუთარი სურვილისამებრ, მოქმედებდეს მხოლოდ საკუთარი ნებით, არ შეიძლება ხელი შეეშალოს არანაირი საფუძველით და თითოეული ინდივიდის ეს უფლება დაცული უნდა იყოს ნებისმიერ სახელმწიფოში, კონსტიტუციური გარანტიებით, ეს გარანტიები კი თავის მხრივ, უნდა განსაზვრავდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და იმ ბერკეტებს რაც ხელს შეუწყობს ოჯახში ძალადობის პრევენციას . სამწუხაროდ ასეთი კანონები სახელმწიფოებში ხშირად არ არსებობენ, ან ყოველთვის ეფექტურად არ ხდება მათი აღსრულება, ან ვერ ფარავენ ძალადობის ყველა ფორმას. ნაშრომში გაანალიზებულია ოჯახში ძალადობის არსი და ფორმები. დღეს არსებული პრაქტიკა, საკანონმდებლო მექანიზმები და სამართლებრივი ჩარჩოები. პრობლემა დანახულია ისტორიული კუთხითაც და განხილულია საზოგადოების როლი ამ პრობლემის პრევენციისათვის. გადმოცემულია ასევე საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ქართულ კანონმდებლობაზე და უცხო ქვეყნების ოჯახურ ძალადობასთან მიმართებით შედარებული ანალიზი. მოცემულ ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული იმ რისკფაქტორებზე, რითაც ხდება ადამიანის მოძალადედ, ან მსხვერპლად ქცევა . შევეხეთ იმ სამართლებრივ პრობლემებს, რაც მახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის. ძალიან მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, განსაკუთრებული ყურადღება დაგვეთმო დაზარალებულის ჩვენების მიცემის სავალდებულო ნორმად ქცევისათვის, ოჯახში ძალადობის დანაშაულის განხილვის დროს, რადგან ეს საკითხი გვესახება ოჯახში ძალადობისთვის არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოში ყველაზე მნიშვნელოვნად. ამ საკითხს შევეხეთ როგორც სამართლებრივი მექანიზმების განხილვისას, ასევე უცხო ქვეყნების საკანონმდებლო სივრცის აღწერისას.

Resume

The aim of the paper is to describe and to convey with some accuracy the problems, which the state, the public and each family face today. I think the problems seen by each lawyer are important and it's critical to find the ways to solve them in order to make the fight against the violence more efficient. The right of an individual to live in an atmosphere of a personal security, without fear, to develop at his/her own will, to act only of his/her own free will, cannot be the constitutional guarantees and these guarantees should define the responsibility of the state and the leverages that will facilitate preventing domestic violence. Unfortunately, such laws do not often exist in the states, or they are not always effectively enforced, or they fail to cover all forms of violence. The paper analyzes the essence and the forms of domestic violence, today's practice, legislative mechanisms and legal frameworks. The problem is also seen from a historical point of view and the role of the society in preventing this problem has been discussed. It also discusses the way the international standards are reflected in the Georgian legislation and the comparative analysis of the domestic violence abroad. The given paper focuses on the risk factors, that make a person a perpetrator ,or a victim. We have touched on the legal issues, that characterize domestic violence. We consider it very important, to pay special attention to the mandatory norm of testimony of the victim during the discussion of domestic violence crimes, as this issue is most important in the legislative framework for domestic violence. We touched upon this issue both in the discussion of legal mechanisms and in the description of the legislative space of foreign countries.

შინაარსი

შესავალი 8

თავი 1. ოჯახში ძალადობის არსი..... 12

1.1 ოჯახური ძალადობის ცნება..... 12

1.2 ოჯახური ძალადობის ფორმები..... 15

1.3 მსხვერპლად ქცევის რისკები; 18

1.4 მოძალადედ ქცევის ფაქტორები..... 20

თავი 2. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და კანონმდებლობაში არსებული მექანიზმები..... 23

2.1. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები..... 23

2.2. დამცავი და შემაკავებელი ორდერები..... 26

2.3. სასჯელები ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ..... 28

2.4. საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი, ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში..... 29

2.5. საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში..... 33

2.6. ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმების არსებული რეზიუმე..... 38

თავი3. ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემური ფაქტორები..... 40

3.1. ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოწვევები..... 40

3.2. ძალადობრივი ურთიერთობიდან თავის დაღწევის შიში. როგორც პრობლემური აქტორი პრევენციისა..... 42

3.3. საზოგადოების ისტორიულ-კულტურული ცნობიერება, როგორც პრობლემური ფაქტორი პრევენციისა..... 45

3.4. ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემები არსებული პრაქტიკიდან. 48

თავი 4. ოჯახში ძალადობის პრევენცია..... 50

4.1. მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის გაძლიერების გზები..... 54

4.2. მოძალადეზე ზემოქმედების საშუალებები..... 54

თავი 5. უცხო ქვეყნების ოჯახურ ძალადობასთან მიმართებითი გამოცდილების შედარებითი ანალიზი..... 55

დასკვნა..... 58

გამოყენებული ლიტერატურა…… 60

შესავალი

თემის აქტუალობა: ზოგადად თითქმის ყველა ადამიანმა იცის, რომ ძალადობა ეს არის ძალის აშკარა ან ფარული გამოყენება სხვა ადამიანის მიმართ სიტყვით ან მოქმედებით, რომელსაც შეუძლია ადამიანი შეურაცხჰყოს, ზიანი მოუტანოს, ან შეულახოს კანონით მინიჭებული უფლებები. დათრგუნოს ნება, შელახოს მისი ხელშეუხებლობა, ღირსება და თავისუფლება. თუმცა, ამ ცოდნასთან მიმართებაში, ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა კონკრეტულ სიტუაციაში ეს ადამიანები არ იკავებენ თავს და ძალადობენ სხვებზე. განსაკუთრებით ხშირია ძალადობის შემთხვევები ოჯახებში და ამას ცხადჰყოფს ის სტატისტიკა, რაც მიღებულია სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ აღრიცხული ფაქტებით.

ოჯახური ძალადობა არსებობს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში და მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას. მისი განსაკუთრებული საშიშროება მის განგრძობად და საზოგადოებისგან დაფარულ ხასიათშია, რადგან ასეთი ძალადობა ხორციელდება ოჯახის წევრის მიერ, სხვა წევრის მიმართ. მსხვერპლი ოჯახის წევრი უმეტესად ამჯობინებს დუმილს სხვადასხვა მიზეზების გამო. მიზეზი შესაძლებელია იყოს გარემო, სადაც ცხოვრობს; სირცხვილის გრძნობა, რომ ვერ აკონტროლებს საკუთარ თავს; სიბრალული მოძალადის მიმართ და მრავალი სხვა ამგვარი რამ.

ოჯახში ძალადობის ობიექტებს, ძირითადად, წარმოადგენენ ქალები და ბავშვები, რადგან ისინი თავიანთი ფიზიკური და ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, უფრო ადვილად ხდებიან მოძალადე ადამიანის მსხვერპლნი. ძალიან ბევრი ქალისთვის არის ყველაზე დაუცველი ადგილი ოჯახი და მათ მიმართ ჩადენილი დანაშაულების უმრავლესობა, სწორედ ოჯახის წევრების მხრიდან ხდება. საზოგადოების უმრავლესობას ამ პრობლემის აღიარება უჭირს, ხოლო ვინც

აღიარებს, ის ხშირად თვლის, რომ ეს არის ოჯახის პირადი სივრცე და სხვა ადამიანებს ამ სივრცეში ჩარევის უფლება არ აქვთ. ისინი თვლიან, რომ ძალადობა ოჯახში მხოლოდ გარკვეული ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანების მახასიათებელია და ჩვეულებრივ, უმრავლეს ოჯახებში, ეს პრობლემა არ არსებობს. თუმცა მათი ვერსიის გასამართლებლად უნდა ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში ძალადობა ნამდვილად დაკავშირებულია ალკოჰოლისა თუ ნარკოტიკის მოხმარებასთან, ასევე აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებასთან, სიღარიბესთან, პირად იმედგაცრუებასთან, ჯანმრთელობის პრობლემებთან და ეს პრობლემები შეიძლება იყოს კონკრეტულ ოჯახებში, მაგრამ ეს კონკრეტული ოჯახები შეიძლება იყოს საზოგადოების დიდი ნაწილიც. იმის თქმა, რომ ეს მხოლოდ ამ კონკრეტული ადამიანების პრობლემაა, იმის გამოხატვაა, რომ ამით ისინი ცდილობენ თვალი არ გაუსწორონ ოჯახური ძალადობის მასშტაბურობას და დატოვონ ეს საკითხი მხოლოდ მცირე მასშტაბის პრობლემად.

ფაქტად კი რჩება ის, რომ ოჯახური ძალადობა არ სცნობს არც კულტურულ, არც ეკონომიკურ და არც სოციალურ ჩარჩოებს და ის შეიძლება არსებობდეს ნებისმიერ საზოგადოებრივ ფენაში. აღნიშნული საკითხის მოგვარება, ჩვენი ქვეყნისათვის ერთ-ერთ რთულად დასაძლევ საკითხს წარმოადგენს და შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ ამ სირთულის დონე ასევე ძნელი დასაძლევია კარგად განვითარებული ქვეყნებისთვისაც. თუმცა, უნდა ითქვას, რომ იმ რიგი ღონისძიებების ფონზე, რაც ჩატარებულია იმ წლების განმავლობაში, როდესაც ყველაზე აქტუალურად დაისვა ეს საკითხი (იგულისხმება ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან დღემდე), ნელ-ნელა ქრება ის ბარიერები, რომელიც ოჯახური ძალადობის გამოვლენას უშლიდა ხელს. სწორედ ამაზე მიუთითებს ის სტატისტიკა, რის მიხედვითაც ყოველწლიურად იზრდება გამოვლენილი ოჯახური ძალადობების რიცხვი. რადგან ეს ზრდა სწორედ იმის მიმანიშნებელია, რომ აქტიური ფრაზა - „რაც ოჯახში ხდება, ის ოჯახში რჩება“- ნელ-ნელა ბარდება წარსულს. ძალადობა გამოვიდა ოჯახის ჩარჩოებიდან და სულ უფრო მეტად არის აღქმული საერთო საზოგადოებრივ პრობლემად.

სახელმწიფოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად გაიზარდა ნდობა სახელმწიფოს მიმართ, რამაც გეომეტრიული პროგრესიით გაზარდა მიმართვიანობის დონე პოლიციისადმი, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ეს გაზრდილი მიმართვიანობაც კი ძალიან მცირე პროცენტია რეალურად არსებული ოჯახური ძალადობის ოდენობისა და საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, რჩება არაერთი პრობლემა, რომლის აღმოფხვრაც აუცილებელია ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ერთი რამ კი დანამდვილებით ცხადია: ინდივიდის უფლებას, ცხოვრობდეს პიროვნული უსაფრთხოების ატმოსფეროში, შიშის გარეშე, განვითარდეს საკუთარი სურვილისამებრ, მოქმედებდეს მხოლოდ საკუთარი ნებით, არ შეიძლება ხელი შეეშალოს არანაირი საფუძველით და თითოეული ინდივიდის ეს უფლება დაცული უნდა იყოს ნებისმიერ სახელმწიფოში, კონსტიტუციური გარანტიებით. თუმცა აქვე უნდა ვაღიაროთ, რომ ეს კონსტიტუციები ასევე უნდა განსაზღვრავდეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და იმ ბერკეტებს, რაც დაწესებულია ამ უფლებების უპატივცემულობისა და დაუცველობისათვის. სამწუხაროდ, ასეთი კანონები სახელმწიფოებში ხშირად არ არსებობს, ან ყოველთვის ეფექტურად არ ხდება მათი აღსრულება, ან ვერ ფარავენ ძალადობის ყველა ფორმას, რათა მოძალადემ პასუხი აგოს თავის საქციელზე და არ გაუჩნდეს დაუსჯელობის სინდრომი.

ნაშრომის მიზანი: ნაშრომის ავტორის შესაძლებლობის და მოცემულობის ფარგლებში აღწეროს და გარკვეული სიზუსტით გადმოსცეს ის პრობლემები, რომლის წინაშეც დგას დღეს სახელმწიფო, საზოგადოება, თუ თითოეული ოჯახი (მიუხედავად იმისა ამ კონკრეტულ ოჯახში, ამ ეტაპზე არის თუ არა ეს პრობლემა) რადგან ვფიქრობ რომ მნიშვნელოვანია, თითოეული იურისტის მიერ დანახული პრობლემები და მისი გადაჭრის გზების ძიება, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობისათვის.

ნაშრომის მეთოდი: ნაშრომი ეფუძნება ავტორის მიერ გაკეთებულ ანალიზს მის მიერ შესწავლილ საკანონმდებლო ბაზაზე, სხვადასხვა პრაქტიკული გამოცდილებებისა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით. ნაშრომში გამოყენებული იქნება ისტორიული, შედარებით - სამართლებრივი, ლოგიკური და სისტემური კვლევის მეთოდები.

ნაშრომის სტრუქტურა: ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ხუთი ძირითადი თავის, რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს ცალკეული საკითხების განმავრცობელ რამდენიმე ქვეთავს და დასკვნისაგან.

თავი 1. ოჯახში ძალადობის არსი

1.1. ოჯახში ძალადობის ცნება

ოჯახური ძალადობა შეიძლება მოხდეს ყველგან, როგორც მდიდარ, ისე ღარიბ ოჯახებში და მას საზღვრები და დრო რომ არ გააჩნია, ეს საყოველთაოდ ცნობილია. რა არის ოჯახური ძალადობა და ამ განმარტების გაკეთებამდე, საჭიროა, მსხვერპლისა და მოძალადის ცნებების ჩამოყალიბება და აქვე იმის ხაზგასმა, რომ „ოჯახში ძალადობა თავისი ხასიათით ლატენტური ტიპისაა“[1].

მსხვერპლი - ეს არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა ან იძულება და რომელსაც მსხვერპლის სტატუსი განუსაზღვრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა, ან სასამართლო ორგანომ, ან ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელმა ჯგუფმა (მსხვერპლის იდენტიფიცირების ჯგუფმა). მოძალადე - ეს არის ოჯახის წევრი, რომელიც ახორციელებს ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ან იძულებას ოჯახის სხვა წევრის მიმართ.

ძალადობა ოჯახში, ოჯახის წევრების მიმართ, განიხილება როგორც ორი ინდივიდის უფლებრივი გადაკვეთა, სადაც მოძალადე არის სრულწლოვანი ინდივიდი, ხოლო მსხვერპლი შესაძლებელია იყოს როგორც სრულწლოვანი პირი, ასევე ბავშვიც. თვითონ ოჯახური ძალადობის ცნება შემდეგია: ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა, უგულვებელყოფით ან/და ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით.

[1] *(შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2017, გვ.27

ქართული კანონმდებლობა ოჯახის წევრების საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს გვთავაზობს. ოჯახის წევრად, ოჯახში ძალადობის დროს, ითვლება: დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), ნაშვილები, მინდობით აღსაზრდელი, მშვილებელი, მშვილებელის მეუღლე, მინდობით აღმზრდელი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობელი, სიძე, რძალი, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი, მეურვე, მზრუნველი, მხარდამჭერი; აგრეთვე პირი, რომელთანაც სამართლებრივი აქტის ან სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების საფუძველზე ფაქტობრივად იმყოფება/ცხოვრობს არასრულწლოვანი, რომელზე ზრუნვისა და რომლის კანონიერი ინტერესების დაცვის ვალდებულება დაეკისრა აღნიშნულ პირს, იმავე სამართლებრივი აქტის, ან სამოქალაქო გარიგების საფუძველზე[2].

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, ითვალისწინებს როგორც სისხლისამართლებრივ, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივ შემდეგი სახის მექანიზმებს და მ.შალიკაშვილი ნაშრომში „ძალადობის კრიმინოლოგია“ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელებული ცვლილებების დადებით და უარყოფით მხარეებზე მიუთითებს. დადებითად მიიჩნევს ოჯახში ძალადობის ერთ მუხლში მოქცევას და სისტემატიზაციას, ქმედებისათვის ადექვატური სახელის დარქმევას და დანაშაულის პრევენციას. ხოლო უარყოფით ფაქტორად მისი, როგორც ოჯახის შენარჩუნების ხელის შემშლელ გარემოებას განიხილავს[3].

1. სისხლისსამართლებრივი მექანიზმი ესაა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება, მოძალადის მიმართ ძალადობის სავარაუდო ფაქტზე, რასაც დადასტურების შემდეგ მოყვება ის სანქცია, რასაც ითვალისწინებს

[2] საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ზალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მე-4 მუხლი, „ზ“ ქვეპუნქტი.
[3] მ. შალიკაშვილი,ძალადობის კრიმინოლოგია,გამომცემლობა მერიდიანი, 2012წელი,გვ 86

სისხლისსამართლის კოდექსი, ამ კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობის შემთხვევაში.

2. ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმი ესაა მოძალადისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვა ან აკრძალვა, რაც ხორციელდება შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოცემით.
3. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმი ესაა მსხვერპლის უფლება, მოსთხოვოს მოძალადეს ძალადობის შედეგად მისთვის მიყენებული მატერიალური და არამატერიალური ზიანის ანაზრაურება. ამ ზიანის ანაზღაურებას სამოქალაქო წესით გაამარტივებს ის განაჩენი, რაც მიღებული იქნება სასამართლოს მიერ, სისხლისსამართლებრივად ძალადობის დადასტურების შემთხვევაში, ან ადმინისტრაციული წესით გაცემული შემაკავებელი და დამცავი ორდერი.

ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, არის „სისტემატიური, განგრძობადი და ესკალირებადი“[4]. იგი წარმოადგენს „ძალადობის ციკლის“ ფორმას, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ფაზად: „დაძაბულობის შენების ფაზა“, „მწვავე ბრძოლის ფაზა“ და „თაფლობისთვის ფაზა“, რა დროსაც მოძალადე ცდილობს მოინანიოს თავისი საქციელი და შეურიგდეს მსხვერპლს.

ოჯახში ძალადობა როგორც ვთქვით, არის ციკლური პროცესი, რომელიც აძლიერებს თაობებს შორის შემდგომი ძალადობის ფაქტებს და მკვიდრდება ნორმად ასეთ ოჯახებში, რაც ხელს უშლის მომავალი თაობების განვითარებას და პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის არ ქმნის შესაბამის პირობებს.

[4] T McCormick, ‘Convicting Domestic Violence Abusers when the Victim Remains Silent’ (1998) 13 BYU Journal of Public Law 428 at p.431

1.2.ოჯახური ძალადობის ფორმები

ოჯახში ძალადობა ერთ-ერთი სერიოზული და გავრცელებული ძალადობის ფორმაა. იგი მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში არსებობს და საზოგადოების ყველა ფენას მოიცავს. ოჯახში ძალადობას ახასიათებს ფარული, სპეციფიური და განგრძობადი ხასიათი, რადგან იგი ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრების მიმართ[5]. ოჯახში ძალადობის გამოვლენის ფორმები, როგორც ქმედება, შეიძლება მრავალი ფორმით გამოიხატოს. საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ ასახელებს ძალადობის შემდეგ სახეებს: ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური ძალადობა, სექსუალური ძალადობა, ეკონომიკური ძალადობა, იძულება[6] და უგულვებელყოფა. შესაბამისად, ძალადობის ეს თითოეული ფორმა განიხილება როგორც ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი. ქმედების ის მექანიზმი, რომელსაც ოჯახის ერთი წევრი შეიძლება ახორციელებდეს მეორე წევრის მიმართ. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

ფიზიკური ძალადობა - ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს;

ფსიქოლოგიური ძალადობა-შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმდება რომელიც იწვევს ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას;

[5] საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი-სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის - გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)-2014 წელი. 5 გვ.
[6] პოლიციის მუშაკთა სახელმძღვანელო. 2011 გვ. 15

სექსუალური ძალადობა- სექსუალური კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მხვერპლის უმწეობის გამოყენებით, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ;

ეკონომიკური ძალადობა- ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებლითა და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლების შეზღუდვას;

იძულება- ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ან რომლისგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ანდა საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება;

უგულვებელყოფა - მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისგან დაუცველობა, დაბადების, რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისთვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა, თუკი მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელი მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.

ეს არის ყველა ის ფორმა, რომლითაც ხორციელდება ძალადობა. თუმცა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება სისტემატიურობას. ოჯახურ ურთიერთობებში განხორციელებულ სხვადასხვა ძალადობრივ ქმედებათა ერთობლიობას მოიცავს და აქვს სისტემატური ხასიათი[7] ზოგიერთი ფორმის გამოვლენის საკითხში, რადგან სწორედ სისტემატიურობაზე იქნება დამოკიდებული დასჯის ის ხარისხი, რაც გამოყენებული უნდა იქნას მოძალადის მიმართ. რადგან შესაძლებელია ზოგიერთი აქ ჩამოთვლილი სახე, მაგ. სექსუალური ძალადობის ერთი შემთხვევაც კი საკმარისი იყოს მოძალადის

[7] ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, გვ. 167

დასასჯელად. უნდა აღინიშნოს, რომ სისტემატურობის ცნება ოჯახური ძალადობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, რადგან ასეთი სახის ძალადობა შესაძლებელია არა მხოლოდ თვეები, წლებიც კი გრძელდებოდეს და მსხვერპლის როგორც ჯანმრთელობის, ასევე ფიზიკური მდგომარეობაც უფრო და უფრო დამძიმდეს და ლეტალურადაც კი დასრულდეს.

ოჯახში ძალადობას აქვს თავისი ფაზები[8] განვითარების დინამიკა და ციკლური ხასიათი. პირველადი ძალადობრივი აქტის სამართალდამცავი ორგანოების შეტყობინების შემთხვევები ძალიან იშვიათია, ძალადობის რომელ ფორმასაც არ უნდა მიეკუთვნებოდეს ის, რადგან ამ ეტაპზე მსხვერპლს არ აქვს გაცნობიერებული, საბოლოო შედეგი ამ ძალადობისა. ის თვლის, რომ ეს არის ჩვეულებრივი უთანხმოება, სადაც მეორე მხარე, მართალია, ზღვარს გასცდა, მაგრამ უშვებს იმას, ან უფრო სწორი იქნება ვთქვათ, იმედოვნებს, რომ ეს აღარ განმეორდება. თუმცა ამ ზღვარს გადასვლა უკვე ხდება იმ უმრავლესშემთხვევაში, სადაც ძალადობის პირველი აქტი გამოვლინდება.

ერთჯერადი ძალადობის ფორმაც იგივეა, რაც სისტემატიური ხასიათის. მხოლოდ გარკვეული ანალიზის შემდეგ დგინდება, რომ, თუ შეურაცხყოფის მიმყენებელს ეს პირველი აქტი, ყოველგვარი დასჯის გარეშე, შერჩება, ის უმრავლეს შემთხვევაში, გაიმეორებს მას, რამდენჯერაც იქნება კონფლიქტი. „მოძალადე მამაკაცთა უმრავლესობას ბავშვობაში ვერ ასწავლეს საკუთარი გრძნობების მართვა და კონფლიქტური სიტუაციის მშვიდობიანად მოგვარება[9].“ ხოლო მსხვერპლი, ვინც უდრტვინველად გადაიტანს ამ შეურაცხყოფას, ან მხოლოდ ემოციებს აამოქმედებს მის წინააღმდეგ, უკვე ნელ-ნელა იწყებს შეგუებას მსხვერპლად ყოფნისკენ და იქცევა ვიქტიმურ პიროვნებად. მიუხედავად ამ ანალიზისა, ძალადობის თითოეული ფორმა,

[8] ავტორთა ჯგუფი (ბოჭორიშვილი მ., მესხი მ., და სხვ.), სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010წ, გვ.8-9

[9] მ.შალიკაშვილი, ძალადობის კრიმინოლოგია, გამომც, „მერიდიანი“,თბ,2012,გვ63

იქნება ეს ერთჯერადი, თუ სისტემატიური ხასიათის, საჭიროებს ინდივიდუალურ მიდგომასა და შეფასებას.

1.3. მსხვერპლად ქცევის რისკები

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, მსხვერპლი ეს არის ოჯახის ის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური, ეკონომიკური ძალადობა, იძულება, ან უგულვებელყოფა და რადგან მსხვერპლი ოჯახური ძალადობის სუსტი, დაუცველი და შედარებით უმწეო მხარეა, ადამიანის ფიზიოლოგიური ბუნებიდან გამომდინარე, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უფრო მეტად არიან ქალები და ბავშვები, ვიდრე მამაკაცები. შესაბამისად, სქესი ოჯახში ძალადობის მსხერპლად გახდომის ერთ-ერთი პირველი რისკის ჯგუფია. სწორედ ამ საყოველთაოდ აღიარებული და ცნობილი მიზეზის გამო, ოჯახში ძალადობა და გენდერზე დაფუძნებული ძალადობა, დანაშაულად იქნა აღიარებული და ის კანონით ისჯება. ამის დამადასტურებელი მაგალითია სტამბულის კონვენცია, რომელიც უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია[10].

ოჯახში ძალადობის მსხვერპლისა და რისკ-ჯგუფების საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტები, როგორც წესი, განსაკუთრებით ნეგატიურ გავლენას ახდენს ოჯახში მცხოვრებ არასრულწლოვანზე. მიუხედავად იმისა, მასზე უშუალოდ ხდება თუ არა ძალადობრივი ზემოქმედება, ის მაინც მსხვერპლია, რადგან ბავშვები ასეთ ოჯახებში აუცილებლად განიცდიან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას და თანაფარდობით უტოლდებიან უშუალო ძალადობის მსხვერპლი ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობას[11].

---

[10] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. ე.წ. სტამბულის კონვენცია

[11] ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ ეროვნული კვლევა 2013 გვ 25.

შემდეგი რისკ-ჯგუფი არის ასაკობრივი ჯგუფები. ასაკი პირდაპირ კავშირშია ძალადობის რისკთან. ეს, შესაძლებელია, გამოწვეულია ცხოვრებისეული გამოცდილებების მიღების სიმრავლით, რადგან, რაც უფრო მეტად ასაკიანია ადამიანი, მით მეტი აქვს მას გამოცდილება პრობლემების აღმოჩენისა და განრიდებისა, თუმცა შესაძლებელია იყოს სხვა მიზეზიც. ახალგაზრდები უფრო ღიად საუბრობენ მათ მიერ გადატანილ ძალადობაზე, მაშინ, როდესაც ასაკოვანი ადამიანები ერიდებიან ძალადობის ფაქტების გასაჯაროვებას[12]

შემდეგი რისკ-ჯგუფს ქმნის განათლების ნაკლებობა/არქონა. ამ რისკ-ჯგუფში უმეტესად შედიან ქალები, რომლებმაც არ იციან თავისი სამართლებრივი უფლებები, ხოლო ტრადიციები მის საწინააღმდეგოდ მოქმედებენ, რადგან თითქმის ყველა ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურაში, განსაკუთრებით კი მუსულმანურ ოჯახებში, ქალის ოჯახხიდან წამოსვლა დიდ სირცხვილად ითვლება. შესაბამისად, ასეთი ქალები მოყოლილნი არიან ყველანაირი წნეხის ქვეშ და ძნელი წარმოსადგენია მათ მიერ ნებისმიერი განაცხადის გაკეთება, რაც საშუალებას მისცემდათ, ოდნავ მაინც გათავისუფლებულიყვნენ ამ წნეხისგან და ებრძოლათ საკუთარი უფლებებისთვის.

ყველა რისკ-ჯგუფის გამაერთიანებელი და მახასიათებელი ნიშანი მსხვერპლად ქცევისა არის შიში, არსებობს თეორია[13], რომ ადამიანები მსხვერპლები ხდებიან იმის, გამო რომ მათ ბავშვობაში ერთხელ უკვე გადაიტანეს ძალადობა, რომელიც მათზე ან მათ ახლობელზე განხორციელდა და ისინი დარჩნენ შეშინებულები. ერთის მხრივ, ეს შეიძლება იყოს შიში იმისა, რომ მას ფიზიკურად გაუსწორდებიან, ხოლო მეორეს მხრივ, ეს შეიძლება იყოს ცვლილებების შიში. ასევე შეიძლება იყოს შიში შვილის მომავლის გამო, რომ ბავშვს სჭირდება ორივე მშობელი გვერდით, თუნდაც

[12] S.Kishor, K.Johnson - Profiling Domestic Violence, 2004, გვ.28
[13] თეორია სწავლა დაკვირვების შედეგად. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011წ. გვ.54

მოძალადე და სხვა მრავალი შიში, რომელიც აიძულებს ადამიანს მსხვერპლად იქცეს და დანებდეს იმ გარემოებას, რომელშიც ის იმყოფება.

1.4. მოძალადედ ქცევის ფაქტორები.

ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებელია ის რომ ეს არ არის ერთჯერადი ძალადობრივი ქმედება, მას აქვს ციკლური ბუნება და ახასიათებს ზრდის ტენდენცია, რაც გამოიხატება ძალადობის გაცილებით უხეში ფორმებით, ძალადობის მაღალი ხარისხით და ინტენსივობით. მის სირთულეს და სიმწვავეს განაპირობებს დაფარული, ტაბუირებული ხასიათი[14]. ძალადობას (იქნება ეს ოჯახში ძალადობა ქალთა, ბავშვთა და ოჯახის სხვა წევრების მიმართ, ძალადობა სკოლაში, ძალადობრივი ქმედებები ქუჩასა და საცხოვრებელ უბანში) გააჩნია ხელშემწყობი ფაქტორები[15]. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია ამ მიზეზთა დადგენა და შემდეგ მათი გადაჭრის გზების განსაზღვრა, რათა პრობლემა ეფექტურად იყოს დაძლეული. აღნიშნული მიზეზები და ფაქტორები, ბუნებრივია, არა ცალ–ცალკე, არამედ ერთმანეთთან ან სხვა ფაქტორებთან თანხვედრაში წარმოადგენენ ძალადობის წარმომშობ/ხელშემწყობ გარემოებებს. ამ ფაქტორების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რაც მიუთითებს პრობლემის მრავალკუთხურობაზე.

ძალადობას უმეტესად მაინც ეკოლოგიური მოდელის მიხედვით განსაზღვრავენ, რომლის მიხედვითაც ძალადობრივი ქცევის რისკ-ფაქტორები არა განყენებულად, არამედ ინდივიდუალური, სიტუაციური, საზოგადოებრივი და კულტურული ფაქტორების ერთობლიობად განიხილება[16].

---

[14] საქართველოს მთავრობის განკარგულება #55 2011 წლის 13 ივნარი. ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შესახებ

[15] სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისთვის 2011 გვ 26

[16] სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. 2016 წელი, ნოემბერი. გვ 9-10.

არის ისეთი ინდივიდუალური და დემოგრაფიული ფაქტორები, რომლებიც ასოცირებულია პარტნიორის მიმართ ძალადობრივ ქცევასთან: ქორწინება ადრეულ ასაკში, განათლების დაბალი დონე, აგრესიული ქცევა, ფინანსური სირთულეები, უმუშევრობა ან დასაქმების პრობლემა, ძალადობის წარსული გამოცდილება (ძირითდად, სრულწლოვანების მიღწევამდე), როგორც პირდაპირი, ისე ირიბი შემთხვევები. ინდივიდუალურ ფაქტორებად უნდა განვიხილოთ, ასევე, დამოკიდებულება ფსიქოტროპულ და ნარკოტიკულ საშუალებებზე, ალკოჰოლურ სასმელებსა და აზარტულ თამაშებზე[17]. ინდივიდუალურ რისკ-ფაქტორებს უნდა მივაკუთვნოთ დაბალი თვითშეფასების უნარი - „უმუშევრობა ერთი მხრივ ქმნის დაძაბულობას ოჯახში, ხოლო მეორე მხრივ თვითრეალიზების პრობლემა გამოიხატება აგრესიაში, რომელიც ოჯახის წევრების მიმართ ვლინდება[18]“ არასრულფასოვნების კომპლექსი და იმპულსური ხასიათი.

სიტუაციურ ფაქტორებში მოიაზრება სირთულეები დონეზე, როგორიცაა პარტნიორებს შორის ურთიერთდამოკიდებულება; ოჯახური კონფლიქტები; დაულაგებელი, პრობლემური ურთიერთობები; განსხვავებული ღირებულებები, ფასეულობები და პრინციპები; არასტაბილური კავშირები, ხშირი დაშორება (განქორწინება); სოციალურ-ეკონომიური სტრესი და სხვა.

მოძალადედ ჩამოყალიბების სრული კომპლექსის რისკ-ფაქტორებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ის საზოგადოებრივი და კულტურული გარემო, სადაც იზრდება ეს ადამიანი. ცნობილი ფაქტია, რომ ძალადობის მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, უფრო მაღალია იმ პატრიარქალურ საზოგადოებაში, სადაც მამაკაცურობა დაკავშირებულია უკვე დომინანტურ როლთან ოჯახში, ხოლო ქალს ხვდება მეორეხარისხოვანი როლი და სადაც არის განათლების დაბალი დონე[19]* ძირითადი ეკონომიური და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია

[17] წულაია ზ., კრიმინოლოგია, თბილისი, 2005, გვ.388
[18] შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011წ. გვ32
[19] S.Kishor, K.Johnson - Profiling Domestic Violence, 2004, გვ.31

მხოლოდ მამაკაცს, ხოლო ქალი პასუხს აგებს მხოლოდ სახლის დასუფთავება-დალაგებაზე, სადაც მამაკაცებისთვის ადვილია განქორწინება, ხოლო ქალებს არ აქვთ ადვილად წვდომა განქორწინებაზე.

უნდა ავღნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ძალადობა ხშირად ხდება ეკონომიურად ძლიერ ოჯახებში, მისი უფრო ხშირი შერმთხვევები დაფიქსირებულია ეკონომიურად მწირი შესაძლებლობების მქონე ოჯახებში. ასევე, მნიშვნელოვანია ისიც, როგორ რეაგირებს ესა თუ ის საზოგადოება ძალადობაზე, ამართლებს ის კაცს ისტორიულად, რელიგიურად, ფიზიკური მონაცემების გამო, თუ იღებს ეს საზოგადოება გარკვეულ პასუხისმგებლობას ამ ძალადობაზე, დაწესებული აქვთ თუ არა სანქციები, იცავს თუ არა მსხვერპლს.

მოძალადედ ქცევის რისკი გვხვდება სხვადასხვა გარემოში, მათ შორის იმ პირთა მიმართ, რომელნიც მოძალადესთან მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციურად ან/და სხვა ფაქტორით განპირობებულ უთანასწორო მდგომარეობაში. იმ გარემოსა და ჯგუფებში, რომლებსაც ახასიათებთ დაუცველობა და სოციალიზაციის ნაკლებობა, მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობის განხორციელებას. ამრიგად, ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების ერთობლიობა, რომელსაც მუდმივად შეიძლება დაემატოს მთელი რიგი სხვადასხვა ფაქტორებისა, ქმნიან სრულ კომპლექსს რიგითი ადამიანის მოძალადედ ქცევისათვის.

თავი 2. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება და კანონმდებლობაში არსებული მექანიზმები

2.1. ოჯახში ძალადობისფაქტებზე სამართლებრივი რეაგირების მექანიზმები

დავიწყოთ იქედან, რომ ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთისათვის გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციულსამართლებრივი და ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, ასევე, სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები[20].

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტი სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს. ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება შემაკავებელი ორდერის/დამცავი ორდერის გამოცემით, აგრეთვე, იმ შემთხვევაში, როდესაც სამართალდარღვევის ხასიათი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების გამოყენებით. სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით ასანაზღაურებლად. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

1. ოჯახში ძალადობის საქმეებზე, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება და გამკაცრება არის უაღრესად მნიშვნელოვანი ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის. სპეციალური მუხლი, რომელიც აწესებს სისხლის

[20] ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 9

სამართლებრივ პასუხისმგებლობას ოჯახში ძალადობისათვის, გახლავთ საქართველოს სსკ. 126[1] მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომელიც გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ ძალადობას, სისტემატურ შეურაცხყოფას, შანტაჟს ან დამცირებას, რამაც გამოიწვია ფიზიკური ტკივილი ან ტანჯვა და რასაც არმოჰყოლია ამკოდექსის 117-ე, 118-ეან 120-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი. ამასთან, საქართველოს სსკ. მე-11[1] მუხლი უშუალოდ შეეხება ოჯახში ძალადობის საქმეებზე სპეციალური აღრიცხვის საკითხს. საქართველოს სსკ. 381[1]მუხლში 2018 წლის 30 ნოემბერს განხორციელებული ცვლილების თანახმად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დაუყოვნებლივ დგება, როდესაც ხდება შემაკავებელი ან დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. ამდენად,სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ხდება მოძალადე პირის მხრიდან შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა, მიუხედავად იმისა, პირის ქმედება მიმართულია თუ არა ძალადობისაკენ.

2. ბოლო წლებში, ოჯახში ძალადობის საქმეებზე გამკაცრებულმა სახელმწიფო პოლიტიკამ გარკვეული ცვლილებები მოახდინა ოჯახში ძალადობისათვის დაწესებულ პასუხისმგებლობაზე. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართლდარღვევათა კოდექსში 2018 წლის 30 ნოემბერს განხორციელებულმა ცვლილებამ სხვაგვარად ჩამოაყალიბა საქართველოს ასკ-ის 175[2]-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა და კოდექსიდან ამოღებული იქნა თავად ამავე მუხლის სახელწოდება „შემაკავებელი და დამცავი ორდერებით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა. არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა“ და მას ეწოდა „არასრულწლოვნის განცალკავების შესახებ სოციალური მუშაკის

გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა“. ასევე, ამოღებული იქნა ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა „შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა“ და მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა „დამცავი ორდერით გათვალისწინებული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შეუსრულებლობა“. ამდენად, აღნიშნული მუხლის მოქმედება აღარ ვრცელდება ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე, ვინაიდან შემაკავებელი ან/და დამცავი ორდერის დარღვევა დღეის მდგომარეობით გახლავთ დანაშაული და მისდასჯადობას აწესრიგებს საქართველოსსსკ. 381-ემუხლი[21].

3. თუ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს მიადგება პირადი ქონებრივი ან არაქონებრივი ზიანი, ზიანის ასანაზღაურებლად უკვე მოხდება სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმების ჩართვა, რაც გულისხმობს სასარჩელო წარმოების გზით,საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა და საქართველოს საპროცესო სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული წესითა და პროცედურებით. პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი[22]* სამოქალაქოსამათლებრივი მექანიზმები აძლევს მსხვერპლს საშუალებას ასევე არაქონებრივი ზიანის მოთხოვნისა. არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება, შეიძლება მოთხოვნილი იქნას მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ასევე სხეულის დაზიანების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც[23]. რაც შეეხება ეკონომიური ძალადობის იმ სახეს, როცა მშობლები არ უვლიან შვილებს, ან შვილები არ უვლიან მოხუც მშობლებს, აქაც

[21] საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრისკანონი №3772
[22] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 992
[23] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლი.

ერთვება სამოქალაქოსამართლებრივი მექანიზმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1212-1214 მუხლებში გაწერილია როგორც მშობლების მიერ შვილების რჩენის მარეგულირებელი ნორმები, ასევე შვილების მიერ მშობლების რჩენის ვალდებულებებიც.

ზოგადად,ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის, ჯერ უნდა შეფასდეს რა სახის დარღვევაა, რისთვისაც უნდა მოხდეს დარღვევის პირველადი ანალიზი და ამის შემდეგ უნდა შეირჩეს რეაგირების ის ბერკეტი, რომელიც ამ სახის დარღვევისთვისაა მიღებული კანონით.

2.2.დამცავი და შემაკავებელი ორდერები

სახელმწიფოს მიზანია არამარტო მოძალადის დასჯა, არამედ ძალადობის აღკვეთა, პრევენცია და მსხვერპლთა დაცვა. სწორედ ამ მიზნის გასახორციელებლად არის შემუშავებული მექანიზმი დაცვის დროებითი ღონისძიებებისა დამცავი და შემაკავებელი ორდერების სახით[24]. აღნიშნული ორდერები ერთმანეთისგან განსხვავდებიან გამომცემი სუბიექტის, მოქმედების ვადის, გასათვალისწინებელი საკითხებისა და განსახორციელებელი ქმედებების მიხედვით. დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს (მოსამართლის) მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები; ხოლო შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლის დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში

[24] სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისათვის 2011გვ.38

დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს[25]. შესაბამისი პირობების არსებობისას მოძალადის სახლიდან გარიდება, მსხვერპლის დაცვის პირველი სწორი ნაბიჯია[26].

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება:

1.მსხვერპლისა და მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისგან დაცვის ზომები;

2. მსხვერპლის და მასზე დამოკიდებული პირის მოძალადისაგან გარიდებისა და თავშესაფარში მოთავსების საკითხები;

3.მოძალადის მიერ თანასაკუთრებით ერთპიროვნულად სარგებლობის უფლების აკრძალვა;

4.მოძალადისგან ბავშვის განცალკევების, მასთან შეხვედრისა და ურთიერთობის რეგულირების საკითხები;

5. მოძალადის მიახლოების საკითხები მსხვერპლთან, მის სამსახურთან და იმ სხვა ადგილებთან, სადაც მსხვერპლი იმყოფება;

6. სხვა საკითხები, რომლებიც აუცილებელია მსხვერპლის უსაფრთხოებისათვის.

კანონის თანახმად, დამცავი ორდერის გამოცემისათვის პირმა თავად უნდა მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს დაცვის ღონისძიების გატარება. ამასთან, დამცავი ორდერი უფრო ხანგრძლივი ვადით გამოიცემა, რაც მსხვერპლის დაცულობის პერიოდს და ხარისხს ზრდის. სავარაუდოდ, სწორედ ეს გარემოებები განაპირობებს დამცავი ორდერის მნიშვნელოვნად დაბალ მაჩვენებელს შემაკავებელ ორდერთან მიმართებაში.

[25] საქართველოს კანონიოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ მუხლი 10.
[26] ევროსასამართლოს საქმე - E.S. and Others v. Slovakia, 2009წ

2.3. სასჯელები ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ

სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეეფარდოს დანაშაულის ჩამდენ პირს[27]. მოძალადე პირთა მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელების ზრდამ საერთო სასამართლოებში გამოიწვია ოჯახში ძალადობის საქმეთა სიმრავლე, ხოლო მოსამართლეთა და სასამართლო ინსტანციებს შორის განსხვავებული მიდგომები მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში, რაც ბუნებრივია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისმე-6 მუხლისმე-2 ნაწილიდან გამომდინარე, ვინაიდან „პირის დამნაშავედ ცნობა და მისთვის სასჯელის შეფარდება მხოლოდ სასამართლოს უფლებამოსილებაა“ და მხოლოდ მოსამართლეს შესწევს ძალა, განიხილოს და შეაფასოს პირის მიმართ არსებული, დანაშაულში მამხილებელი მტკიცებულებები და გამოიტანოს გამამტყუნებელი განაჩენი. ამასთან, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს სტანდარტით „გონივრულ ეჭვს მიღმა“. „მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნულისა სამართლოების პრეროგატივა[28]“ სასჯელის დანიშვნა არის მნიშვნელოვანი ნაწილი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისას. ეს არის კულმინაცია ყველა წინა პროცესის და ყველაზე კონკრეტული გზა იმის დემონსტრირებისთვის, რომ საზოგადოება არ იქნება ტოლერანტული ძალადობისა და მოძალადის დაუსჯელობის მიმართ. თუ მსხვერპლს არ მოეწონება დანიშნული სასჯელი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ის კვლავ ჩაერთოს მართლმსაჯულების პროცესში სხვა ფაქტის არსებობის შემთხვევაში[29]. ოჯახში ძალადობის ფაქტებზე, მოძალადე პირთა მიმართ ყოველ ჯერზე გამოტანილ უნდა იქნეს იმ სახისა და ზომის სასჯელი,

[27] ტურავამ., სისხლისსამართალი, ზოგადინაწილისმიმოხილვა (მეცხრეგამოცემა), 2013 წელი, გვ. 353.
[28] Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, №10590/93, 6/12/1988, გვ.68
[29] 11Preventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Counsil of Europe,2016; გვ 66-67

რომელიც იქნება მისი ქცევის პროპორციული, თავიდან იქნება აცილებული ახალი დანაშაულის ჩადენა და დაზარალებულს გაუჩენს ნდობას პროცესის მიმართ. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების საკითხი არასოდეს განიხილება დაზარალებულის თანხმობის გარეშე, და ამის მთავარი მოტივაცია, სწორედ ამ დანაშაულთან ბრძოლაა. საპროცესო შეთანხმების გაფორმება კი შესაძლოა იყოს ძალადობის მიმართ ტოლერანტობის მაჩვენებელი[30].

მოსამართლე სუბიექტურად და პერსონალურად კიცხავს დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო. ამასთან, სასამართლო სასჯელსა და დანაშაულს შორის პროპორციულობის განსაზღვრისას, გარდა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მაკვალიფიცირებელი და შემამსუბუქებელი გარემოებებისა, ხელმძღვანელობს დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებით. ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების შეფასებისას, უპირველესად, გასათვალისწინებელია მისი კრიმინალური წარსული (ნასამართლობა), არის თუ არა მიდრეკილი ძალადობრივი ქმედებებისკენ დაა. შ. მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა გამოიკვლიონ სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებდა თუ არა შემაკავებელი და დამცავი ორდერები. არსებობის შემთხვევაში კი, უნდა მოხდეს მათი გათვალისწინება სასჯელის განსაზღვრის დროს. აღნიშნული საკითხის მხედველობაში მიღება აუცილებელია, რადგან ერთი პირის მიერ ძალადობრივი აქტის განმეორება მომეტებულ რისკებს უკავშირდება. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ „სასჯელის შემსუბუქების კუთხით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ბრალდებულის აღიარებას თუმცა, მხოლოდ ეს გარემოება ვერ გადაწონის საქმეში არსებულ რიგ დამამძიმებელ გარემოებებს, კერძოდ: ბრალდებულის პიროვნებას და მის მიდრეკილებას ძალადობისაკენ[31]“.

[30] (Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls;UNODC, Viena, 2014; გვ 88)
[31] თბილისისსაქალაქოსასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრისგანაჩენი, საქმე N1/3588-17.)

ოჯახში ძალადობის საქმეებზე, უმეტესად, გამამტყუნებელი განაჩენი დგება, თუმცა,რიგ შემთხვევებში, პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა გარკვეული წლების განმავლობაში ლმობიერი სანქციების გამოყენება. ხშირი იყო ისეთიშემთხვევებიც, როდესაც სასამართლო ნასამართლობის მქონე პირს, რომელმაც პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, უფარდებდა 126[1]-ე მუხლით გათვალისწინებული მსუბუქი სახის სასჯელს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. ამ საკითხის ასეთმა მიდგომამ ძალიან ცუდი შედეგები მოიტანა ქვეყნისთვის, განსაკუთრებით გახშირდა ძალადობის განმეორების ფაქტები. სწორედ ამიტომ, აუცილებელია, ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვისას მოსამართლეებმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სკრუპულოზურად გამოიკვლიონ ქმედებიდან მომდინარე საფრთხეები და ქმედების ჩადენის წინაპირობები და რადგან სასჯელის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ძალადობის აღკვეთა, მსხვერპლის დაცვა, დამნაშავის პასუხისგებაში მიცემა და პრევენცია. შესაბამისად, სასამართლოს დამოკიდებულება ძალადობის დასაგმობად უნდა გამოიხატოს დამნაშავისათვის ადეკვატური სასჯელის შეფარდებაში[32].

2.4.საზოგადოებრივი ინსტიტუტების როლი ოჯახში ძალადობასთან მიმართებაში

ოჯახში ძალადობა კომპლექსური პრობლემაა, რომელიც სხვადასხვა ინსტიტუციების მიერ ერთობლივ, კოორდინირებულ მიდგომას საჭიროებს. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს და ეფექტურად იფუნქციონიროს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების მექანიზმებმა და მოხდეს სწრაფი რეაგირერება სახელმწიფოს მიერ, საჭიროა სხვადასხვა უწყებების ერთობლივი, თანმიმდევრული და სისტემური ჩართულობა. ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ოჯახური ძალადობის გამოაშკარავების ის ტემპი, რაც დაამახასიათებელია ამ დანაშაულის პრიორიტეტულ დანაშაულად გამოცხადებასა და არსებულ მონაცემებს შორის.

[32] ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (ვენა, 1969 წლის 23 მაისი), http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf)

ოჯახში ძალადობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზემოთ აღნიშნული საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეაგირება საჭიროა იმდენად, რამდენადაც ოჯახში ძალადობა შეიძლება საზოგადოების ნებისმიერმა წევრმა განიცადოს, მიუხედავად მისირელიგიური მრწამსისა, ეთნიკური წარმომავლობისა, რასისა, სოციალური თუ კულტურული კუთვნილებისა დაა.შ. აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობასა და გენდერზე დაფუძნებულ ძალადობას, ყველაზე ხშირად, ქალები და ბავშვები განიცდიან. ამის თქმის საფუძველს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემები გვაძლევს, რომლის მიხედვითაც, მთელი ცხოვრების მანძილზე ქალთა დაახლოებით 70% განიცდის სხვადასხვა სახის ძალადობას[33].

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ საჯარო საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეაგირება გულისხმობს პოლიციის, სოციალური მუშაკების და ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლების ეფექტურ, კოორდინირებულ ჩართვას და რეაგირებას ოჯახში ძალადობის შემთხვევების გამოვლენაზე, პრევენციასა და აღკვეთაზე. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ასეთი რეაგირება დამყარებულია შიდა ინსტიტუციონალურ ამხანაგობასა და თანამშრომლობაზე. იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ინსტიტუტების რეაგირება იყოს ეფექტური, საჭიროა ყველა ჩართული სტრუქტურის/ინსტიტუციის ფილოსოფია და ფასეულობები ოჯახში ძალადობაზე იყოს გააზრებული და შეთანხმებული. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ინსტიტუციები/სტრუქტურები ხელმძღვანელობდნენ წინასწარ შედგენილი და შემუშავებული პრინციპებითა და სტანდარტებით[34]. აღნიშნული ინსტიტუციების გუნდური, კოორდინირებული მუშაობა აუმჯობესებს ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისა და დაზარალებულთათვის საჭირო, ხარისხიანი სერვისების მიწოდებას, ასევე უზრუნველყოფს სერვისის მიმწოდებლების ხარისხის დონეს და გუნდების წევრებისათვის ტრენინგპროგრამების ხელმისაწვდომობას, რაც მათ

[33] ნ. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, ქალთა ფონდი საქართველოში, თბილისი, 2014 გვ 37

[34] Multi-sectoral response to GBV, AN effective and coordinated way to protect and empower GBV victims/survivors, 2015,UNFPA, East European Institute for Reproductive Health

კვალიფიკაციაზე და სამუშაოს შესრულებაზე აისახება. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მულტისექტორული რეაგირება საჭიროა იმდენად, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს:

1.ძალადობის მსხვერპლებისა და დაზარალებულთათვის მხარდამჭერი სერვისების ხელმისაწვდომობას;

2. ყველა საჭირო პროგრამაზე ინტეგრირებულ და ზომიერ ინტერვენციას;

3. ყველა ჩართული ინსტიტუციის/სტრუქტურის (სამართალდაცვა, ჯანდაცვა, ფსიქოსოციალური კეთილდღეობა) ანგარიშვალდებულებასა და პასუხისმგებლობას ჩარევის ყველა დონეზე;

4.ძალადობის შემთხვევების პრევენციისა და აღკვეთისა უზრუნველყოფს კოორდინირებულ ქმედებებს[35].

ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმების წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაში ძალიან მნიშვნელოვანია, ასევე, კერძო სექტორისა და მასმედიის როლი. კერძო და საჯარო სექტორში დამსაქმებლებს გააჩნიათ კანონისმიერი და ზნეობრივი ვალდებულებები, აგრეთვე ეკონომიური დაინტერესება, დაეხმარონ თავიანთი თანამშრომლებს, დაიცვან მათი ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, ხელი შეუწყონ ყველა სახის რისკების შერბილებას, რომლებიც შეიძლება დაკავშირებული იყოს გარემოსთან.

ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმები, როგორიცაა სექსუალური შევიწროება, აკვიატებული დევნა/გადაკიდება და ოჯახში ძალადობა, წარმოადგენს ძალადობის მწვავე ფორმებს, რომლებიც დაგმობილია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციაში[36] ქალთა

[35] Multi-sectoral response to GBV, AN effective and coordinated way to protect and empower GBV victims/survivors, 2015, UNFPA, East European Institute for Reproductive Health.
[36] CETS No. 210, შემდგომში „სტამბულისკონვენცია“ევროპისსაბჭო (2011 წ.),

მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია, განმარტებითი ანგარიში). სტამბულის კონვენციით აღიარებულია კერძო სექტორისა და მასმედიის მნიშვნელოვანი როლი. კონვენციის მე-17 მუხლის შესაბამისად, მხარე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, ამ პოტენციალის გამოყენების მიზნით მოუწოდონ კერძო სექტორს, განსაკუთრებით, საინფორმაციო ტექნოლოგიების სექტორსა და მასმედიას, ჩაერთონ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელი შეუწყონ ამ სფეროში პოლიტიკისა და თვითრეგულირების სტანდარტების ჩამოყალიბებას, შემუშავებასა და განხორციელებას. ამ დოკუმენტის მიზანია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და პრევენციაში კერძო სექტორისა და მასმედიის მონაწილეობის აუცილებლობის დასაბუთება, პრაქტიკული რჩევების შეთავაზება და გამოცდილების საუკეთესო მაგალითების გაცნობა. მაგალითები მოიცავს მთელ რიგ დამქირავებლებსა და ორგანიზაციებს, რაც წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება სხვადასხვა ზომებისა და ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი მექანიზმების გამოყენებით ოჯახში ძალადობის შედეგებთან გამკლავება და ცნობიერების გაზრდა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, აგრეთვე, ბავშვთა უსაფრთხოების გაძლიერებისათვის კერძო სექტორთან თანამშრომლობით გატარებული ზომების ამსახველ მაგალითებს.

2.5. საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ოჯახში ძალადობის საქმეებში

ოჯახში ძალადობა საზოგადოებისათვის ერთ-ერთი ყველაზე დამანგრეველი საფრთხეა და ძალადობის გამოვლინების ყველაზე ფარულ და საშიშ ფორმას წარმოადგენს. ევროპული საზოგადოებაც არ წარმოადგენს თავშესაფარს და იქაც

უამრავი პრობლემაა ძალადობის ამ კუთხით. რთულია შეცვალო ადამიანის ცნობიერება და ქცევა, მხოლოდ 1993 წელს იქნა აღიარებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ ქალთა მიმართ ძალადობა,როდესაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრის შესახებ[37].* ამ დეკლარაციაში ქალის სუბორდინაცია ოჯახში ძალადობის პრინციპულ მიზეზადაა განსაზღვრული. დეკლარაციაში გაწერილია: „ისტორიაში ძალადობა ქალის მიმართ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული არათანაბარი ურთიერთობების მანიფესტაციაა. ამგვარი ურთიერთობებისშედეგია კაცის მხრიდან ქალზე დომინირება და მისი დისკრიმინაცია[38]. ამ კონკრეტული აღიარებიდან დღემდე მრავალ საერთაშორისო დოკუმენტში დაფიქსირდა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლებათა დარღვევაა და ხაზი გაესვა შემდეგს: სახელმწიფოებს შესაძლოა პასუხისმგებლობა დაეკისროთ კერძო პირების მოქმედებისთვის, თუ ისინი ვერ გამოიჩენენ სათანადო ძალისხმევას ადამიანის უფლებების დარღვევის თავიდან აცილების, ფაქტის გამოძიებისა და დამნაშავის დასჯსათვის[39].

ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა სქესის საფუძველზე, ადამიანის უფლებების დარღვევის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ფორმაა. იგი ართმევს ქალს შესაძლებლობას, ისარგებლოს ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი დღემდე, როგორც ოჯახში ძალადობის, ასევე ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებზე, არის სტამბულის კონვენცია. სტამბულის კონვენცია უდიდესი მნიშვნელობის ინსტრუმენტია მრავალი თვალსაზრისით. ერთი მხრივ, იგი აღიარებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ადამიანის უფლების დარღვევას და დისკრიმინაციის ფორმას წარმოადგენს. უფრო მეტიც, იგი მიზნად ისახავს ასეთი ძალადობისათვის ნულოვანი ტოლერანტობის არსებობას, რისთვისაც ახდენს ქმედებათა მთელი წყების კრიმინალიზაციას.

[37] (www.un.org/russian/documen/declarat/violence.htm “ojaxSi Zaladoba da samarTlebrivi daxmareba” 2009 w.)
[38] Mm.CitaSvili, n.javaxiSvili (2010) qalTa mimarT ojaxSi Zaladobis sakiTxebis erovnuli kvleva saqarTveloSi. gv.14).
[39] ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაცია #19

ბოლო წლებში ოჯახში ძალადობის მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ არაერთი საკანონმდებლო ნორმა და პოლიტიკის განმსაზღვრელი სამოქმედო დოკუმენტი შეიმუშავა. მისასალმებელია ისიც, რომ საქართველოც, სხვა ქვეყნებთან ერთად, ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორმატს შეუერთდა, როგორიცაა სტამბოლის კონვენცია, რაც ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციას ითვალისწინებს. აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი ყველაზე მრავლისმომცველია ამ სფეროში და მიზნად ისახავს ნულოვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. სტამბოლის კონვენცია უშუალოდ მიუთითებს სახელმწიფოებს ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომების გატარების შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების დასჯა ეფექტური, თანაზომიერი და პრევენციული სანქციების გამოყენებით. ასევე, სადაც შესაძლებელია, სანქციები უნდა მოიცავდეს თავისუფლების აღკვეთას. აღსანიშნავია, რომ სტამბოლის კონვენცია ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს (მუხლი 11) კონვენციის ეფექტიანი იმპლემენტაციის მიზნით, რეგულარულად შეაგროვონ შესაბამისი დეტალური სტატისტიკური მონაცემები ამ სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირონ შესაბამისი კვლევების განხორციელებას, რომლითაც შესწავლილი და გაანალიზებული იქნება ამგვარი ტიპის დანაშაულთა გამომწვევი ძირითადი მიზეზები დაშედეგები, შემთხვევათ არაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებელი. სტამბოლის კონვენცია[40] მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელწიფოებს გაატარონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმისათვის, რომ ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა

[40] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' ევროპის საბჭოს კონვენცია მუხლი 45

და ოჯახში ძალადობის დანაშაულები იყოს დასჯადი „ეფექტური, თანაზომიერი და გადამაფიქრებელი“ სანქციის მეშვეობით, მათი სიმძიმიდან გამომდინარე. კონვენცია[41] განსაზღვრავს დამამძიმებელი გარემოებების ჩამონათვალს, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას.

დამატებით, ბრიტანეთის სასჯელის განსაზღვრის საბჭოს[42]. მიერ შემუშავებული ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სახელმძღვანელო პრინციპები ითვალისწინებს ყველა იმ დამამძიმებელ თუ შემამსუბუქებელ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენი უნდა გამომდინარეობდეს დანაშაულის სიმძიმიდან და არა მსხვერპლის გაცხადებული ნებიდან გამომდინარე. ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის გაეროს სახელმძღვანელოში[43] მოცემულია რეკომენდაცია მოძალადისთვის ჯარიმის დაკისრების მაქსიმალურ შეძღუდვასთან დაკავშირებით, რადგან გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ჯარიმის გადახდა პოტენციურ ტვირთად დააწვება მსხვერპლს და ასევე ოჯახის სხვა წევრებს და ამიტომ ჯარიმა არ შეიძლება ჩაითვალოს დასჯის იმ ბერკეტად, რაც სამართლიანობის განცდას გაუჩენს მსხვერპლს. ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოში განმარტებულია , რომ ჯარიმის დაკისრებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფინანსური პრობლემები , რომლებიც შესაძლებელია წარმოეშვას მსხვერპლსა და მის არასრულწლოვან შვილებს , როდესაც დამნაშავე არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი[44]*

პირველი ინსტანციის სასამართლოები ოჯახში ძალადობის საქმეების განხილვისას, ყველაზე ხშირად, ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის

---

[41] („ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' ევროპის საბჭოს კონვენცია .მუხლი 46)

[42] (Sentencing Council)*(ალექსიძელ., თანამედროვე საერთაშორსიო სამართალი, თბ., 2015, გვ. 46-69

[43] ihttp://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf p.52.

[44] Preventing and combating domestic violence against women (A learning resource for training law-enforcement and justice officers), CoE, (2016) p.61.)

მე-6 მუხლის ფარგლებში არსებული სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით. კერძოდ, სასამართლოები, უმეტეს წილად, საერთაშორისო სტანდარტებს მოიხმობენ მტკიცებულებათა შეფასებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ მსჯელობისას, სამართლებრივი არგუმენტაციის გამყარების მიზნით. რაც შეეხება ოჯახში ძალადობის შესახებ რელევანტური საერთაშორისო აქტების ან/და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მოხმობის პრაქტიკას, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მაჩვენებელი უმჯობესდება და აქტიურად იყენებენ ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთისშესახებ“ (სტამბოლისკონვენცია), ასევე, სხვა რელევანტურ საერთაშორისო პრაქტიკას .

შესაბამისად, 1994 წელს საქართველო უპირობოდ შეუერთდა ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) კონვენციას. ასევე, ყოველგვარი დათქმების გარეშე შეუერთდა 2017 წელს ე.წ. სტამბოლის კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ. ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგის თანასწორობის ნაწილში. აღნიშულ ნაწილში ხაზგასმულია, რომ დასახვეწია შესაბამისი კანონმდებლობა ქვეყანაში და აუცილებელია ძალადობის მსხვერპლისთვის დახმარების ხელმისაწვდომობის გაზრდა.[45]

2.6. ოჯახში ძალადობის სამართლებრივი მექანიზმების არსებული რეზიუმე

ამ თავში შევაჯამეთ, რომ საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კანონმდებლობა, შეიძლება ითქვას, მაღალ დონეზეა განვითარებული. საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სამართლებრივ მექანიზმებს. ოჯახში ძალადობის

[45] საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, www.mfa.gov.ge

წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველო ითვალისწინებს საერთაშორისო რეკომენდაციებსა და ვალდებულებებს, რაც ქრონოლოგიურად ამგავრად გამოიყურება:

1. 2006 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ.“
2. კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომელიც მიღებულია 2010 წელს[46], „ადგენს ქალისა და მამაკაცის კონსტიტუციით განსაზღვრული თანასწორი უფლებების, თავისუფლებებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფის ძირითად გარანტიებს, განსაზღვრავს საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამის სფეროებში მათი განხორციელების სამართლებრივ მექანიზმებსა და პირობებს“. ამ კანონის მიზანია უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძალადობის დაუშვებლობა, უზრუნველყოს ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების შექმნა და ხელი შეუწყოს ასევე ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას.
3. 2013 წელს შემუშავდა საკანონმდებლო ცვლილებათა ორი პაკეტი, ოჯახში ძალადობის აღკვეთის ღონისძიებათა განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საბჭოსა და საქართველოში გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN WOMEN) და ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელის ინიციატივით, რომლებიც გადაეცა საკანონმდებლო ორგანოს განსახილველად. 2013 წელს მომზადდა ცვლილებათა პაკეტი, რომელიც გულისხმობდა პასუხისმგებლობების გადანაწილებას ერთი უწყებიდან მეორეზე. აღნიშნული კანონპროექტი დამტკიცდა პარლამენტის მიერ.
4. 2014 წელს ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში შევიდა შესწორება, რომელიც ძალადობის მსხვერპლთა შემდგომ დაცვას უზრუნველყოფს. ცვლილების მიზეზი 2014 წელს დაფიქსირებული ფემიციდის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებელი გახდა. სწორედ ამის შედეგად კანონს დაემატამე-9 მუხლის პირველი პუნქტი, რომლის მიხედვითაც, ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და

[46] საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ2010 26.03

აღკვეთისათვის გამოიყენება სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი მექანიზმები.[47]

5. 2014წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ყველა წევრის უფლების დაცვას. მასზე ზედამხედველობას საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ახორციელებს.
6. 2011 წლის 7 აპრილს ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო კონვენცია „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“, რომელსაც 2011 წლის 11 მაისს სტამბულში მოეწერა ხელი. ევროსაბჭოს კონვენცია მიმართულია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დაძლევისაკენ. საქართველოსთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო ამ კონვენციაზე ხელისმოწერა 2017 წლის პირველ სექტემბერს[48].

ერთ-ერთი ძირეული ბაზისი ყველა ამ დოკუმენტისა, 1993 წლის ქალთა მიმართ ძალადობის აღმოფხვის შესახებ დეკლარაციის მე-4, (ვ) ქვე პუნქტი სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ „შეიმუშაონ კომპლექსური, პრევენციული მიდგომები და ყველა სამართლებრივი, პოლიტიკური, ადმინისტრაციული თუ კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ქალთა დაცვას ძალადობის ნებისმიერი ფორმისაგან, და უზრუნველყონ, რომ ქალები ხელახლა არ გახდნენ ძალადობის მსხვერპლნი იმის გამო, რომ კანონები არ ითვალისწინებენ გენდერულ საკითხებს, აღსრულების პრაქტიკას ან სხვა ინტერვენციის საშუალებებს[49].“

ყოველივე ზემოთ აღნიშნული და გაანალიზებული საკითხებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიღებული ყოველი კანონი,

[47] ბ. პატარაია, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, სოციალური მომსახურება- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი, პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, ივლისი, 2016 წელი

[48] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' ევროპის საბჭოს კონვენცია)

[49] საერთაშორისო და რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, Sida, UNDP, თბილისი, 2008).

საკანონმდებლო ცვლილება და მასთან დაკავშირებული რეფორმები იმის დასტური და ნათელი მტკიცებულებაა, რომ ოჯახში ძალადობა არა მხოლოდ „ოჯახის საქმე“ და ორი ადამიანის პირადი ცხოვრება და კერძო სივრცეა, არამედ მთელი საზოგადოების პრობლემა და დანაშაულია.

თავი3.ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემური ფაქტორები

3.1.ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოწვევები

ოჯახში ძალადობა წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვას და თანამედროვე საზოგადოების ერთ–ერთი ურთულესი სოციალური და სამართლებრივი გამოწვევაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოსთვის ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისიდან ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად ითვლებოდა. მიუხედავად არაერთი განხორციელებული ღონისძიებებისა, ოჯახში ძალადობა ერთ-ერთ ყველაზე მეტად უგულებელყოფილ და ხშირ დანაშაულად რჩება. მართალია, გარკვეული წლების შედარებითი ანალიზის მიხედვით მოიმატა მიმართვიანობამ პოლიციისადმი, თუმცა ეს არ არის ამ დანაშაულთა იმ რაოდენობის მეათედიც კი, რაც ხდება ყოველდღიურად.უნდა ითქვას, რომ სამართალდამცავი ორგანოების მიერ ოჯახში ძალადობის შემთხვევათა გამოძიების ხარისხი თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა და მის შესახებ საზოგადოების ცოდნა უფრო იზრდება, თუმცა მაინც არ არის სახელმწიფოსა და საზოგადოების ისეთი ერთიანობა, რითაც ამ დანაშაულთა ოდენობა უნდა შემცირდეს და მაქსიმალურად აღიკვეთოს.

ოჯახში ძალადობის კუთხით არსებულ გამოწვევებზე რეაგირებისთვის ყველა შესაბამისი უწყება, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, კოორდინირებულად უნდა იყოს წარმოდგენილი. ოჯახში ძალადობის პრევენციის ღონისძიებების უფრო მეტად ეფექტიანი განხორციელებ აუნდა უზრუნველყონ: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს პროკურატურამ და სასამართლო ორგანოებმა. ამასთან, საჯარო სექტორთან ერთად, აქტიური როლი უნდა შეასრულონ არასამთავრობო ორგანიზაციებმა, მედია-საშუალებებმა, რელიგიურმა კონფესიებმა და სხვა საზოგადოებრივმა ინსტიტუტებმა, რომლებიც საზოგადოებაში გარკვეული ავტორიტეტით სარგებლობენ[50]. აღსანიშნავია, რომ სტამბულის კონვენცია[51] ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუწოდებს კონვენციის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით რეგულარულად შეაგროვონ შესაბამისი დეტალური სტატისტიკური მონაცემები ამ სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობასთან დაკავშირებით[52] და მხარი დაუჭირონ შესაბამისი კვლევების განხორციელებას, რომლითაც შესწავლილი და გაანალიზებული იქნება ამგვარი ტიპის დანაშაულთა გამომწვევი ძირითადი მიზეზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებლები.

დასკვნის სახით, ოჯახური ძალადობის პრევენციის გამოწვევებთან დაკავშირებით, შეიძლება ითქვას, რომ ეს არის გამოწვევა, რომლის წინააღმდეგ უნდა გაერთიანდეს სახელმწიფოს თითოეული მოქალაქე, იქნება ეს საჯარო თუ კერძო სექტორი, იმ პასუხისმგებლობის ასაღებად, რასაც ღირსეული საზოგადოების შექმნა ჰქვია, რადგან

[50] (ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია).

[51] „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ'' ევროპის საბჭოს კონვენცია მეთერთმეტე მუხლი)

[52] სტამბულის კონვენციის გარდა ეს მოთხოვნა გვხვდება გაეროს კონვენციაში ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ)

სწორედ ღირსეული და სამართლიანი საზოგადოების მიერ შეიძლება აილაგმოს დანაშაულის ეს სახე. ყველანი უნდა შევთანხმდეთ იმაზე, რომ პირადი სივრცე ვრცელდება იმ ეტაპამდე, სანამ არ ხდება სხვისი კონსტიტუციური უფლებების შელახვა, ხოლო, თუ ამგვარს ადგილი აქვს, მაშინ უნდა ხდებოდეს საჯარო პასუხისმგებლობის დაკისრება თითოეული მოძალადის მიმართ, განურჩევლად მისი სოციალური მდგომარეობისა, ფინანსური შესაძლებლობისა, საზოგადოებრივი ავტორიტეტისა და სხვა ამგვარი გარემოებებისა.

3.2. ძალადობრივი ურთიერთობიდან თავის დაღწევის შიში როგორც პრობლემური ფაქტორი პრევენციისა

ოჯახური ძალადობიდან თავის დაღწევის შიში, შეგვიძლია განვიხილოთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემურ ფაქტორად ძალადობის პრევენციისა, რადგან ძალადობიდან თავის დაღწევა არც ისე ადვილია უამრავი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო და ძალადობის მსხვერპლი, მოძალადის მიტოვების სურვილის შემთხვევაში, უამრავ ბარიერს აწყდება, რომლის გადალახვაც ჩვეულებრივ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვისაც კი სირთულეს წარმოადგენს. მით უმეტეს, სირთულეს წარმოადგენს ეს ბარიერი ძალადობის მსხვერპლისათვის, რომლის ფსიქიკური მდგომარეობა არ შეიძლება იყოს ნორმაში, ძალადობის იმ მეთოდების მიხედვით, რასაც ახორციელებს მოძალადე მასთან მიმართებაში. აღიარებულია რომ შიშის ფაქტორებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებული შიშის ფაქტორი ძალადობის ისტორიაა მოძალადესა და მსხვერპლს შორის . სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს მიეკუთვნება ეჭვიანობა, ფიზიკური ან ეკონომიკური შეზღუდვები და სოციალური იზოლაცია. სხვადასხვა მკვლევარების მიერ ჩატარებული კვლევები ხაზს უსვამს რომ „შესაძლოა მსხვერპლი არ იყოს დაქვემდებარებული ფიზიკურ ძალადობას პარტნიორის ან ოჯახის წევრის მხრიდან,

თუმცა მასზე ხორციელდებოდეს ძალადობის ისეთი ფორმა როგორიც არის კონტროლი და რაც იწვევს შიშით დამოკიდებულებას მსხვერპლისა მოძალადესთან[53]. აღსანიშნავია, რომ ურთიერთობა, რომელიც ერთი შეხედვით არ არის ძალადობრივი ხასიათის და არ მოიცავს ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს, ხშირად სათანადოდ არ ფასდება მსხვერპლის, სოციალური მუშაკების და სამართალდამცავების მიერ. აუცილებელია, მოძალადის მხრიდან მსხვერპლზე კონტროლის განხორციელება, მიჩნეულ იყოს ძალადობის ერთ-ერთ მნიშნველოვან ფორმად. მსხვერპლს ხშირად ეშინია მარტო დარჩენისა მოძალადის პირისპირ, რადგან აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევებში მკვლევლობის შესახებ მუქარას ხშირად ოჯახის წევრები, მეგობრები, მეზობლები თუ თანამშრომლები შესწრებიან, თუმცა ისინი სერიოზულად არ აღიქვამენ ამგვარ მუქარას და არ ერევიან კონფლიქტში, იმ მოტივით, რომ ეს "პირადი საქმეა[54]" ამ და სხვა მიზეზების გამო ოჯახური ძალადობის შემთხვევების დიდი ნაწილი პოლიციისთვის მიმართვის გარეშე რჩება. იმ შემთხვევაში კი, როცა ხდება პოლიციისთვის მიმართვა, პოლიცია აღნიშნული საქმის შესწავლას არ ახდენს ისეთი მნიშვნელოვანი ასპქტების გათვალისწინებით, როგორიც არის მოძალადის პიროვნება და მისი ძალაუფლებრივი კავშირი მსხვერპლთან კონტროლის კუთხით და ეს მიზეზი ხშირად უგულვებელყოფილია გამოძიების დაწყების თუ მიმდინარეობის პროცესში[55]. ძალადობის მსხვერპლებს ასევე ეშინიათ დახმარების მიმართვისა ძალადობის შემთხვევაში. მათ აქვთ შიში სამართალდამცავ ორგანოებთან საქმის დაჭერისა, რადგან ფიქრობენ, რომ იურიდიული სისტემა მათ ვერ დაიცავს მოძალადისგან და თვითონ დარჩებიან პირისპირ ამ მოძალადესთან. ქალები, რომლებიც სისტემატური ძალადობის მსხვერპლნი არიან, ხშირად ვერ

[53] NICOLAIDIS, C., CURRY, M.A., ULRICH, Y., SHARPS, P., McFARLANE, J., CAMPBELL, D., GARY, F., LAUGHON, K., GLASS, N., and CAMPBELL, J. (2003), "Could We Have Known? A Qualitative Analysis of Data from Women Who Survived an Attempted Homicide by an IntimatePartner", in Journal of General Internal Medicine, Vol.18, October 2003, გვ. 792

[54] Spinelli, B: "Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence", Expert Paper, October 2011, გვ 32

[55] Spinelli, B: "Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence", Expert Paper, October 2011გვ.11)

ირიდებენ თავიდან ფატალურ შედეგს აუცილებელ მატერიალურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის სიმცირის გამო. აღნიშნული ქართულ რეალობაშიც სერიოზული პრობლემაა. არსებული თავშესაფრები და რეაბილიტაციისთვის საჭირო რესურსი, იმდენად მცირეა, რომ ბევრი ქალი რჩება სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური დახმარების გარეშე[56*] ასევე მათ აქვთ სტიგმატიზაციის შიში რადგან ფიქრობენ, რომ, თუ ისინი გაახმაურებენ ამ პრობლემას, გარიყულები იქნებიან საზოგადოებისაგან და არ ჩაითვლებიან საზოგადოების ღირსეულ წევრად. ეშინიათ იმ დამღისა, რაც შეიძლება მიიღონ საზოგადოებისაგან გარიყვით, რადგან მათ იციან, რომ ამ დამღას პიროვნებას ესა თუ ის საზოგადოება ცნობიერად, ან გაუცნობიერებლად ადებს და ასეთ ადამიანებს უგულვებელყოფს.

ხშირია მსხვერპლის მიერ საქმის წარმოების გაგრძელებაზე უარის შემთხვევები და საქართველოს სახალხო დამცველი, თავის ანგარიშებში, ამის სავარაუდო მიზეზად ასახელებს ძალადობის გაძლიერების შიშს, რომელიც გამოწვეულია იურიდიული სფეროს არსებული ბერკეტებისა და სერვისების გაუმართაობით. ასე, რომ მსხვერპლის გაძლიერება მორალურად, ფიზიკურად, ასევე სახელმწიფო თუ კერძო სექტორების გაერთიანება და მსხვერპლის გვერდით დგომა, გაუძლიერებს მსხვერპლს დაცვის მექანიზმებს და დააძლევინებს შიშებს მოძალადეების მიმართ.

3.3.საზოგადოების ისტორიულ-კულტურული ცნობიერება, როგორც პრობლემური ფაქტორი პრევენციისა

პროცესმა რომელსაც გლობალიზაცია ჰქვია, უფრო დააკავშირა ერთმანეთთან მსოფლიოს ცალკეული ნაწილები და მრავალფეროვნება უფრო თვალსაჩინო გახადა. ასევე უფრო თვალსაჩინო გახადა მსგავსებებიც სხვადასხვა ერებში და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასეთი მსგავსება ერებს შორის არის ძალადობა. ძალადობა

[56] Spinelli, B: “Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence”, Expert Paper, October 2011გვ7

ძლიერისა სუსტზე, ძალადობაოჯახის ერთი წევრისა მეორეზე, ძალადობა ბავშვზე, მოხუცზე, ქალზე. დღევანდელი საზოგადოების მთავარი კითხვა სწორედ ამაში მდგომარეობს: როგორ უნდა აილაგმოს ეს, ასე ფართოდ გავრცელებული დანაშაული მთელს მსოფლიოში. დანაშაული, რომელიც საუკუნეების მანძილზე მოჰყვებოდა მსოფლიო კულტურას, რელიგიას, შემეცნებას და დიდ სიმახინჯედ რჩება დღემდე, თითოეულ ერში.

ოჯახური ძალადობის უამრავი ფაქტი შეგვიძლია გავიხსენოთ მხატვრული ლიტერატურიდან, რომელიც დოკუმენტურად აღწერს ოჯახური ძალადობის მაგალითებს.ოჯახური ძალადობის ისტორიული მაგალითია მეხუთე საუკუნეში დაწერილი შუშანიკის წამება, რომელიც ერთი შეხედვით მარტივი ფაბულის მქონე ჰაგიოგრაფიულ თხზულებად შეიძლება მივიჩნიოთ, რომელშიც ჩვეულებრივი ოჯახური დრამაა აღწერილი, თუმცა ამ გადმოსახედიდან, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს არის ამბავი დაჩაგრული, მსხვერპლად ქცეული ქალისა, რომელსაც ყველა უფლება წართმეული აქვს მოძალადე ქმრის მიერ.

ასევე შეიძლება დავასახელოთ ცნობილი რუსი მხატვრის ილია რეპინის სურათი, სადაც მეფე ივანე მრისხანე კლავს შვილს. გადმოცემის თანახმად, შვილი შეეწინააღმდეგა მეფეს, რომელიც ფიქრობდა, რომ მისი თითოეული სიტყვა თუ მოქმედება მისაღები უნდა ყოფილიყო ყოველგვარი განხილვისა და შეწინააღმდეგების გარეშე. ესეც არის ოჯახური ძალადობის ისტორიული ფაქტის გადმოტანა კულტურულ სივრცეში და სხვა უამრავი მაგალითის მოძიება შეიძლება, სადაც მსხვერპლი და მოძალადე ერთ ოჯახში ცხოვრობენ.

ისტორიული თუ ამჟამად არსებული წესები, ტრადიციები, კულტურული, ისტორიული,რელიგიური ფაქტორები ორმაგი დატვირთვითაა წარმოდგენილი. ორმაგი დატვირთვა შეიძლება ჰქონდეს იმ ფაქტსაც რომ ოჯახი ისტორიულად ბევრი წევრისგან შედგება და ოჯახში ძალადობის ერთ-ერთი მმთავარი მიზეზად ოჯახური

კონფლიქტები სახელდება[57] ეს წლების განმავლობაში შენახული ტრადიცია შეიძლება, ერთი მხრივ, კიდეც იწვევდეს და ამართლებდეს ოჯახურ ძალადობას, ხოლო მეორეს მხრივ, უშლიდეს ხელს ძალადობის გამოვლენის ფაქტებს, რადგან ტრადიციულად ოჯახის დანგრევა სირცხვილად ითვლება ყველა ეთნოსისა, თუ ერისათვის.

სახელმწიფო უნდა ცდილობდეს აღმოფხვრას ასწლეულების განმავლობაში დამკვიდრებული ის ადათობრივი ნორმები, ჩვეულებები თუ შეხედულებები, რაც ხელ უწყობს ძალადობას. ეს უნდა მოხდეს ნელ-ნელა, ეტაპობრივად, მხოლოდ მუდმივად საზოგადოების მხარდაჭერით, კარგად შემუშავებული იდეოლოგიით და რაც მთავარია, მამაკაცების აქტიური ჩართულობით[58] უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ეს ნორმა, ტრადიცია, ჩვეულება თუ შეხედულება ხელს უწყობს სწორედ კაცებისათვის დომინანტური როლის დაკისრებასდა სწორედ კაცებმა უნდა იაქტიურონ ამ დომინანტური ფუნქციების თანასწორად განაწილების საქმეშიოჯახის სხვა წევრების მიმართ. ეს იყო მაინც ზოგადი აღწერა საერთო ძალადობრივი წარსულისა, სხვადასხვა ერებში, ზოგან, მაგალიტად უფრო ევროპულ ცივილიზაციებში უფრო ნაკლები იყოს ასეთი ოჯახური ძალადობის მაგალითები, ვიდრე აზიურ და აფრიკულ ცივილიზაციებში.

რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, როგორც ევროპული და აზიური ცივილიზაციის შეერთების ადგილი, ჩვენი კულტურისთვის დამახასიათებელია როგორც აზიური, ისე ევროპული ნიშნები. შეგვიძლია აქვე ვთქვათ ისიც, რომ ქალის როლი ქართულ ცნობიერებაში საკმაოდ მაღალია. შესაძლებელია ეს განპირობებული იყოს ჩვენი სახელმწიფოს რელიგიითაც, რადგან ქრისტიანობა სხვა რელიგიებისგან განსხვავებით, უფრო მცირედ ახდენს ქალისა და მამაკაცის დიფერენციაციას. მიუხედავად იმისა, რომ იგი ქალებს მოუწოდებს ქმრების მორჩილებისაკენ ასევე

[57] ნ. გაბრიჩიძე,საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდიკა, თბ,2005. გვ, 9-12

[58] A. Harvey, C. Garcia-Moreno, A. Butchart - Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence, 2007 გვ.8

მოუწოდებს მამაკაცს საკუთარი თავივით უყვარდეთ თავისი ცოლი.*(საქმენი მოციქულთაი). ქალისა და კაცის ისტორიული, კულტურული და ადათობრივი განსხვავებანი ხშირად უქმნის მამრობით სქესს იმის ილუზიას, რომ ის მდედრობით სქესზე მაღლა დგას, ასევე ხშირად აფიქრებინებს მდედრობით სქესსაც, რომ მამრობითი სქესი, მასზე უფრო აღმატებულია და უნდა დამორჩილდეს მას. შესაბამისად, მწვავედ დგას გენდერული უთანასწორობის პრობლემა., ჩვენს ქვეყანაში ბევრ ქალს აქვს შეზღუდული ძირითადი უფლებები და ეს განსაკუთრებით შეინიშნება ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში[59]. გაეროს ქალთა ორგანიზაცია გენდერული თანასწორობის და ქალთა გაძლიერებისთვის (UN Women)). პრაქტიკაში ყველაზე ხშირია, როდესაც ქალს შეზღუდული აქვს შრომისა და განათლების უფლება. სწორედ ამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო სახემწიფოს მიერ შემუშავებულ, ოჯახში ძალადობის პრევენციის ეფექტიანობისთვის განსახორციელებელი ღონისძიებების დოკუმენტში აღნიშნულია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება; მოსახლეობაში სამართალდამცავი სტრუქტურების საქმიანობისადმი ნდობის გაღრმავება; გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე მიდგომის შეცვლის მიზნით პოლიციელთა კვალიფიკაციის ამაღლება; პოლიციელის რისკის შეფასების საჭირო უნარების განვითარება; სამართალდამცველთათვის სავალდებულო სტანდარტული სამოქმედო პროცედურების შემუშავება; შემაკავებელი ორდერის სასამართლო წესით დამტკიცების პროცედურების გამარტივება; სხვადასხვა უწყების თანამშრომელთა (პედაგოგების, მანდატურების, ექიმების, სოციალური მუშაკებისა და მართლმსაჯულების სისტემის მოხელეთა) გადამზადება.

[59] ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში 2014.

3.4. ოჯახში ძალადობის პრევენციის პრობლემები არსებული პრაქტიკიდან

პირველივე პრობლემა რითაც ოჯახური ძალადობის პრევენციის პრობლემების არსებული პრაქტიკული ჩამონათვალი იწყება, არის ძალადობის გამოვლენის პრობლემა. დავიწყოთ იმით, რომ "ოჯახში ძალადობა თავისი ხასიათითა და მოცემულობით ლატენტური ტიპისაა[60]. ეს ნიშნავს, რომ ამ სახის ძალადობა ხშირად მხოლოდ მოძალადესა და მსხვერპლს შორის არსებობს და ოჯახის გარეთ არ გამოდის. „არავის საქმეში არ ვერევი მე და ნურც ნურავინ ჩაერევა ჩემს საქმეში" — დათა თუთაშხიას ფრაზა ცნობილი რომანიდან, რომელიც სოციალურად მისაღებ ქცევას გვკარნახობს, თუ სისხლის სამართლის დანაშაული? კანონმდებელი ამგავარ მიდგომას არ მიიჩნევს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად, თუმცა უნდა ითქვას, რომ ოჯახური ძალადობის ლატენტურობას უფრო მეტად განსაზღვრავს ის საპროცესო უფლებები, რომელიც გარანტირებულია საქართველოსკონსტიტუციის 31-ემუხლის მე-11 ნაწილში, რომლის მიხედვითაც „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით."

სწორედ ამ გარანტირებული უფლების გამოა, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე შესაძლოა მოხდეს მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევისას არაერთი სახეცვლილება. მათ შორის, შეუძლებელი გახდეს მოწმის წარმოდგენა, ან დასაკითხი პირის მიერ მოხდეს „ჩვენების შეცვლა", მოწმემ გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და უარი თქვას ჩვენების მიცემაზე. საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ დაგვანახა, რომ დაზარალებულები ძალიან ხშირად სარგებლობენ ამ უფლებით. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა უწყებები აქტიურად მუშაობენ საკითზე, რომ მსხვერპლს გაუმარტივდეს ოჯახში ძალადობის

[60] შალიკაშვილიმ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2017 გვ. 27

ფაქტის შეტყობინება[61] კვლავაც არ ხდება ძალადობის ფაქტების აქტიურად გამხელა მსხვერპლის მიერ.

ოჯახში ძალადობის შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შესაძლებელია ცნობილი გახდეს მსხვერპლთან დაკავშირებული პირების მიერ, მაგ. მეზობლის, ნათესავის ან სხვა გულშემატკივარის მიერ, რასთან მიმართებითაც პრაქტიკაში არსებობს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი. ეს არის მსხვერპლის პოზიცია ძალადობის მიმართ. მსხვერპლი, ძალიან ხშირად, აფარებს ხელს მოძალადეს იმ ძირითადი მიზეზების გამო, რომელიც არაერთხელ ჩამოვთვალეთ ზემოთ. თუ მსხვერპლი დათანხმდება ჩვენების მიცემაზე, გამოვა არსებული მდგომარეობიდან, მოინდომებს სიტუაციის შეცვლას და წავა მოძალადის წინააღმდეგ, აქ უკვე დაიწყება შემდეგი პრობლემა. არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე,ხშირად ხდება, რომ გამოძახებულ ეკიპაჟს ადგილზე ხვდება სიტუაცია, როცა საკმაოდ ძნელი გასარჩევია ვინ მსხვერპლია და ვინ მოძალადე. შედარებით ადვილია ამის გარკვევა მაშინ, როცა მსხვერპლს ემჩნევა ფიზიკური ზიანის კვალი, თუმცა ძალიან ძნელია პირველადი გარჩევა მოძალადისა სხვა ძალადობის შემთხვევების დროს. სწორედ ამ საკითხის გამო შეიძლება მოხდეს ქმედების არასწორი კვალიფიკაცია და შესაძლებელია დადგეს ის შედეგიც, რომ რომ პოლიციის მიერ ოჯახის ორივე წევრის იდენტიფიცირება მოხდეს ერთდროულად, როგორც მსხვერპლი და როგორც მოძალადე და მეტიც, შესაძლებელია ოჯახის ორივე წევრი მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში[62].

ზემოთ დასახელებული პრობლემები ქმნიან გარემოებას, როცა ხშირ შემთხვევაში,ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს მხოლოდ და მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენენ და ნივთიერი ან/და წერილობითი

[61] 2018 წლის 11 თებერვლიდან მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ სატელეფონო ხაზის „112“-ის მომსახურებით ისარგებლონ ხაზზე დარეკვის გარეშე აპლიკაციის მეშვეობით, SOS ღილაკით შეტყობინება გაგზავნონ დანაშაულის შესახებ დაპ არალელურად გააგზავნონ მათი ადგილმდებარეობის კოორდინატები),

[62] ელენე გოგუაძე - აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017, გვ.68

მტკიცებულების არქონის გამო სასამართლო განხილვის ეტაპზე ეჭვქვეშ დგება მტკიცებულებების როგორც სარწმუნოობის, ასევე დამაჯერებლობის ან „საკმარისობის“ საკითხი. ოჯახში ძალადობა რომ ლატენტურ დანაშაულთა კატეგორიას განეკუთვნება,ეს უკვე ავღნიშნეთ, ხოლო ასეთი ტიპის დანაშაულისათვის დამახასიათებელია ფაქტების გაუმჟღავნებლობა, დაფარვა, დამახინჯება, ჩვენების მიცემაზე უარი. ასევე სასამართლო პრაქტიკა ცხადჰყოფს, რომ დაზარალებულები, რომლებიც გამოძიებაში ცხელ კვალზე გაცილებით მეტ ინფორმაციას გასცემენ ძალადობასთან დაკავშირებით, დროთა განმავლობაში კიდეც ეგუებიან მომხდარ ძალადობას და საკუთარი ნებით თუ ბრალდებულის ჩარევით, ცდილობენ ბრალდებულებს აარიდონ პასუხისმგებლობა.

ყოველივე ზემოთგანხილული მასალიდან და მათი ანალიზიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახური ძალადობის პრევენციის პროცესი არის ძალიან რთული, ვინაიდან პრევენციის დროს ჩანს მრავალი ისეთი პრობლემა, რომელიც რთულია აღმოსაფხვრელად, თუმცა გამოწვევა მიღებული აქვს სახელმწიფოს და ამ გამოწვევის დაძლევა ხდება ნაბიჯ-ნაბიჯ, რისი კონკრეტული შედეგებიცსახეზე გვაქვს.

თავი 4. ოჯახში ძალადობის პრევენცია

4.1. მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის გაძლიერების გზები

ადამიანების უმეტესობა ოჯახს აღიქვამს როგორც დახურულ სივრცეს, სადაც შეიძლება ბევრი რამ ცუდი მოხდეს, მაგრამ ეს არ უნდა გავიდეს ამ სივრციდან.

სივრციდან გასვლა მათთვის ჭუჭყიანი სარეცხის გაფენის ამბავივითაა, რაზეც შესაძლებელია იჭორაონ, გაიკიცხონ, ურთიერთობა აღარ მოუნდეთ მათთან. ადამიანების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ოჯახიდან ყოველთვის სასიამოვნო ამბები უნდა ისმოდეს, რათა ეს ოჯახი იყოს სასურველი ყველასთან საურთიერთობოთ, რადგან ამ ურთიერთობებზე იქნება დამოკიდებული ოჯახის თითოეული წევრის საზოგადოებაში ინტეგრირება. ამ ტრანსფორმაციას: შიგნით ძალადობის ჩვეულებრივ ამბად გარდასახვას, ეწირება არაერთი ქალი, ბავშვი, თუ ფიზიკურად შედარებით სუსტი ოჯახის სხვა წევრი, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი ინტერესების დაცვა, არადა პირველი ნაბიჯი ამ ძალადობის აღმოსაფხვრელად სწორედ ამ ძალადობის დაფიქსირება და გარეთ გამოტანა და არა ამ ძალადობის ტრანსფორმირება, ან დამალვა. თუმცა უნდა ითქვას რომ სახელმწიფოს მიერ გატარებული არერთი ღონისძიების საშუალებით და ამ ღონისძიებებთთან ერთად, მედიის აქტიური ჩართულობით და საზოგადოების მხარდაჭერით, იქნებოდა ეს სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციები მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა საზოგადოებრივ ცნობიერებაში, რისი მეშვეობითაც უფრო მეტი ადამიანი მიმართავს დასახმარებლად სახელმწიფო სტრუქტურებს და ამას ცხადჰყოფს ოჯახში ძალადობის მიმართვიანობის სტატისტიკური ზრდა. მიმართვიანობის ზრდას მოსდევს იმ ადამიანების ფიქსირებული ზრდაც, ვინც გახდა ოჯახში ძალადობის მსხვეპლი და დაზარალებული და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი გზა არის სწორედ ამ ადამიანების გაძლიერება და მდგრადობა მათი დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საშუალებებით, რადგან სწორედ რეაბილიტაციითა და შესაბამისი ადეკვატური მოპყრობიტაა , შესაძლებელი ადამიანის ღირსების აღდგენა და საზოგადოებაში მათი ინტეგრაცია. საქართველოს მთავრობის მიერ ოჯახში ძალადობის პრევენციის მიზნით, ბოლო წლებში რიგი ღონისძიებები გატარდა, რომელთაგან აღსანიშნავია ოჯახში ძალადობის შესახებ კანონის მიღება, ძალადობის კრიმინალიზაცია, ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრება[63] და შსს-ს ფარგლებში სპეციალური დეპარტამენტის შექმნა, რომელიც მონიტორინგს უწევს ოჯახურ დანაშაულზე მიმდინარე გამოძიებას.

უნდა ითქვას რომ ოჯახური ძალადობის პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ფარგლებში სახელმწიფოს ორიენტირად მიჩნეულია გაეროს სპეციალური

[63] შსს მინისტრის 2014 წლის 9 დეკემბრის N45 ბრძანება „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრების შესახებ“. ოჯახში ძალადობის დროს, როდესაც სავარაუდო მსხვერპლი მიუთითებს მისთვის ფიზიკური ტკივილის ან/და ტანჯვის მიყენებაზე, დაუყოვნებლივ გამოძიების დაწყება და შემაკავებელი ორდერის გამოცემა, რამაც, შესაბამისად, სსსკ-ის 126პრიმა მუხლით რეგისტრირებული დანაშაულისა და გამოცემული შემაკავებელი ორდერების ზრდა განაპირობა

მოხსენება[64] და შემუშავებული მოდელური კანონმდებლობა ((Model Legislation), რომელიც ქვეყნებისთვის აწესებს ოჯახში ძალადობისაგან სამართლებრივი დაცვის რეკომენდებულ მინიმუმს. აღნიშნულის მიხედვით მნიშვნელოვანია:

ა. პოლიციამ თანაბარი პრიორიტეტი მიანიჭოს, როგორც ოჯახის წევრების, ასევე სხვა პირების მიერ ჩადენილ ძალადობის ფაქტებს.

ბ. მოხდეს განმცხადებლის დაცვა და დამნაშავის სახლიდან გარიდება ან დაკავება, თუ დაზარალებული საფრთხეშია.

გ. არსებობდეს დამცავი/შემაკავებელი ორდერების გამოცემის მექანიზმი, რომელიც მოძალადეს აუკრძალავს კონტაქტს განმცხადებელთან. შედეგად, ძალადობის განმეორება შექმნის პოლიციისათვის მოძალადის დაკავების საფუძველს.

დ. პოლიციამ და სასამართლომ განახორციელონ ორდერით განსაზღვრული პირობების შესრულების მონიტორინგი და მათი დარღვევა მიიჩნიონ დანაშაულად, რომელიც გამოიწვევს მოძალადის დაკავებას ან დაჯარიმებას.

ე. მოხდეს ოჯახში ძალადობის კრიმინალიზაცია – ძალადობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა და დამნაშავის დასჯა[65].

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის სისტემა კომპლექსურია, რადგან მოითხოვს ერთობლივ და კოორდინირებულ ძალისხმევას სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან. საუკეთესო შემთხვევაში, სისტემა შედგება შემდეგი კომპონენტებისგან[66]

1. მსხვერპლის დახმარების სერვისები:

ა)კონსულტაცია;

ბ)საცხოვრისით უზრუნველყოფა;

გ)სარეაბილიტაციო ცენტრები;

დ) ფსიქოლოგიური დახმარება;

[64] Special Rapporteur on Violence against Women, Framework for Model Legislation on Domestic Violence,.N U. Doc. E/CN.4/1996/53/Add.2. Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR) appoints SpecialRapporteur on violence against women and domestic violence who has special mandate to undertake country visits, submit annual reports, transmits urgent appeals and communications to States regarding alleged cases of violence

[65] U.N. Economy & Social Council, Radhika Coomaraswamy, Report of the Special Rapporteur on Violence Against Women, Its Causes and Consequences, U.N. Doc. E/CN.4/1996/53, 1996.

[66] State Government of Victoria, Family Violence Risk Assessment and Risk Management Framework and Practice Guides, Australia, 2012

ე) საქმის ინდივიდუალური მართვა

2. სამართლებრივი სერვისები:

ა) პოლიციის ინტერვენცია;

ბ) სასამართლო;

გ) ქცევის კორექცია;

დ)იურიდიული მომსახურება;

ე) ბავშვის დაცვის სერვისები ;

ვ) მსხვერპლის დახმარება

3. საზოგადოებრივი სერვისები:

ა) განათლება:

ბ) ჯანდაცვა;

გ)წამალსა და ალკოჰოლზე დამოკიდებულთა სერვისები;

დ)ოჯახების დახმარების სერვისი;

ე) შშმ პირთა სერვისი;

ვ) სოც. დახმარება.

აღსანიშნავია , რომ ამ ჩამონათვალში გამუქებულია ის სერვისები, რომლებიც საქართველოში ნაკლებად, ან სულ არ არის დანერგილი და იმედი გვაქვს რომ, თუ ყველა ეს სერვისი იქნება მიწოდებული ოჯახში ძალადობის მსხვერპლ/დაზარალებულთათვის , მაშინ გაცილებით უფრო შემცირდება ოჯახში ძალადობის შემთხვერვები და გაძლიერდება პრევენცია. პრევენციის ღონისძიებების განსაზღვრასთან ერთად `ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ~ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მსხვერპლთა სოციალური დაცვის გარანტიებს, მათი რეალიზაციისა და სარგებლობის წესსა და პირობებს. კანონმდებლობის მიხედვით, მსხვერპლს გააჩნია შემდეგი სოციალური დაცვის გარანტიები:

1. მოძალადისაგან დაცვის სპეციალური ზომებით სარგებლობის უფლება;
2. თავშესაფრით სარგებლობის უფლება;
3. პირველადი გადაუდებელი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარებით სარგებლობის უფლება;

4. თავშესაფრით სარგებლობისპერიოდში იმავე თანამდებობაზე მუდმივი სამუშაო ადგილის შენარჩუნების უფლება;*('ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ'საქართველოს კანონი)

4.2. მოძალადეზე ზემოქმედების საშუალებები.

სტამბულის კონვენციის მიხედვით[67] დამნაშავეებისთვის განკუთვნილი პროგრამები ქალთა ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ინტეგრირებული და ერთიანი მიდგომის მნიშვნელოვანი ელემენტებია, რომლებიც, თავის მხრივ, ერთიანი ეროვნული პოლიტიკის ან სტრატეგიის ნაწილი უნდა იყოს. ოჯახში ძალადობის და სექსუალური ძალადობის ჩამდენ მამაკაცებთან მუშაობა ხელს შეუწყობს კულტურული და პოლიტიკური ცვლილების პროცესს, რომელიც მიმართულია გენდერული იერარქიის, გენდერული ძალადობისა და გენდერული დისკრიმინაციის, ასევე, პერსონალური და სტრუქტურული ძალადობისა და დისკრიმინაციის ფორმების აღმოფხვრისაკენ[68] ოჯახში ძალადობის ერთიან მიდგომის ნაწილს წარმოადგენს ის საკანონმდებლო ნორმატივებიც რაც განხორციელდა საქართველოში მოძალადეზე ზემოქმედების კუთხით: ა)2011 წლის 1 ივნისს, მთავრობის მიერ დამტკიცდა ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფცია; ბ)მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის მიზანია მოძალადეთა დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავება (მათ შორის სავალდებულო სწავლების კურსი), მათი დანერგვისა და გატარების ხელშეწყობა, მათ შორის იმ პირებისათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან ან იმყოფებიან პირობითი მსჯავრის ქვეშ იმ ქმედების გამო, რომელიც უკავშირდება მათ მიერ ოჯახში ძალადობის ფაქტების ჩადენას. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში[69], რომელიც ითვალისწინებს ოჯახური დანაშაულის შემთხვევაში – ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლას. კურსის გავლის ვალდებულებას უწესებს პირობით მსჯავრდებულს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი, რომელიც მოსამართლეს აძლევს შესაძლებლობას,

[67] სტამბულის კონვენციის მეთექვსმეტე მუხლი

[68] ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა ევროპაში - Daphne II პროექტი 2006- 2008 - www.work-with-perpetrators.eu.

[69] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 65-ე და 168-ე მუხლები

ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირობით მსჯავრდებულს დააკისროს დასახელებული მოვალეობა. აღნიშნულთან ერთად, ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული კურსის გავლის ვალდებულებას ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 168 პრიმა მუხლი და ადგენს, რომ ოჯახურ დანაშაულში ბრალდებულმა პირმა უნდა გაიაროს დასახელებული კურსი. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის თანახმად „მოძალადის დამოკიდებულებებისა და ქცევის კორექციისკენ მიმართული ღონისძიებები და მათი განხორციელების წესი და ფორმები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით“ . მითითებული დანაწესის მიუხედავად, ამ დრომდე არ მიუღიათ შესაბამისი დადგენილება,*[70] რომელიც დამცავ ორდერში მოძალადის ძალადობრივი ქცევის კორექციაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლის საკითხს მოაწესრიგებდა. ისე როგორც დამნაშავეზე ზემოქმედების სადამსჯელო მეთოდებმა, როგორიც არის მის მიმართ სისხლის სამართლებრივი და ადმინისტრაციული კოდექსების შესაბამისი ნორმების გამოყენება, ასევე „ოჯახური და სექსუალურ ნიადაგზე დამნაშავე პირების მკურნალობის პროგრამებმა პოზიტიური როლი შეიძლება შეასრულოს სამართლებრივი, სოციალური, სამედიცინო სფეროსა და ქალის მიმართ გენდერულ ძალადობაზე საზოგადოების რეაგირების გაუმჯობესებაში[71]“

მოძალადეთა შესაბამისი რეაბილიტაცია, მთლიანობაში , დიდ ზემოქმედებას მოახდენს კომპლექსურად, როგორც ოჯახში ძალადობის შემცირების ასევე, ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, მათი ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრებისა და ოჯახის ერთიანობის უზრუნველყოფაზე. შეგვიძლია სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითების საფუძველზე, შევიმუშავოთ მოძალადეთა რეაბილიტაციის დეტალური სამოქმედო გეგმა, რომელიც თანხვედრაში იქნება საქართველოს ტრადიციებთან, მის კულტურულ და სოციალურ–ეკონომიკურ მდგომარეობასთან.

თავი 5. უცხო ქვეყნების ოჯახურ ძალადობასთან მიმართებითი გამოცდილების შედარებითი ანალიზი.

მთელს მსოფლიოში, ბოლო რამოდემინე ათეული წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად შეიცვალა საზოგადოების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობის მიმართ. თუ წინათ ამგვარი ძალადობა განიხილებოდა, როგორც პირადი საკითხი, და

[70] საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 4.12.2017 წერილი N 36207

[71] რ.პ. დობაში და სხვები. (1999), “მოძალადე კაცების ბრიტანული პროგრამების კვლევის შეფასება”, სოციალური პოლიტიკის ჟურნალი, 1999 წლის აპრილი, ტ. 28, გამოცემა 02, გვერდები: 205-33

ხშირ შემთხვევაში დანასაულადაც არ ითვლებოდა, დღეისათვის ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს საზოგადოების მთავარ პრიორიტეტს და მსოფლიოს მასშტაბით მართლმსაჯულების არაერთი პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს ამ დანაშაულის აღმოსაფხვრელად შესაბამის როგორც საკანონმდებლო, აგრეთვე სხვა სახის ინტერვენციის ღონისძიებებს[72]. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობისაგან განსხვავებით, საერთო სამართლის სისტემის (Common Law) ქვეყნებში სისხლის სამართლის კანონმდებლობა ითვალისწინებს დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემის ვალდებულებას, ძირითადად თუ საქმე ეხება ოჯახურ დანაშაულს. ვფიქრობ რომ თუ მსგავსს მექანიზმს გამოვიყენებთ ქართულ კანონმდებლობაშიც, ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ოჯახში ძალადობის პრევენციას. მაგ. პოლიციისა და სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებების შესახებ ინგლისის 1984 წლის აქტის 80 (3) ნაწილი[73] განსაზღვრავს დანაშაულთა შემდეგ სპეციალურ კატეგორიებს, რა შემთხვევებშიც მეუღლე ან სამოქალაქო პარტნიორი ვალდებულია მისცეს ჩვენება თუ ძალადობა ან ძალადობის მუქარა მიმართულია მეუღლის ან სამოქალაქო პარტნიორის ან მოცემულ პერიოდში 16 წელს მიუღწეველი პირის. საქართველოს კანონმდებლობისაგან განსხვავებულია და ვფიქრობ ჩვენს ქვეყანაში დასანერგია ასევე ინგლისში ორდერის გაცემის წესიც. რომელიც რეგულირდება 1996 წლის საოჯახო სამართლის აქტით[74] და გამომდინარე იქიდან რომ აღნიშნული ორდერების გაცემა რეგულირდება სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობით, ისინი არ საჭიროებენ მტკიცებულებების ისეთ სტანდარტებს , რაც აუცილებელია სისხლის სამართლის საქმისათვის.ორდერების გაცემის ასეთივე წესია უელსშიც. შოტლანდიის კანონმდებლობის თანახმად მსხვერპლია ბრალდების მთავარი მოწმე[75] და შესაბამისად შოტლანდიის კანონმდებლობა ცალსახად ადგენს რომ მეუღლე ან სამოქალაქო პარტნიორი ვალდებულია მისცეს ჩვენება ოჯახში ძალადობის საქმეზე. აღსანიშნავია რომ კანადამ შეცვალა მოწმე მეუღლის ჩვენების მიცემის წესი, მეუღლის წინააღმდეგ და გახადა სავალდებულო, რამაც მნიშვნელოვანი შედეგი დააყენა ოჯახში ძალადობასთან მიმართებით[76]*

[72] Evidentiary Barriers to Conviction in Cases of Domestic Violence: A Comparative Analysis of Scottish and German Criminal Procedure, Michael C.Wutz,p. 76

[73] J. Doak, Victims' Rights, Human Rights and Criminal Justice: Reconceiving the Role of Third Parties (Hart Publishing: Oxford and Portland, 2008) p. 325

[74] Family Law Act of the United Kingdom1996Part IV

[75] Michael C. Wutz, Evidentiary Barriers to Conviction in Cases of Domestic Violence: A Comperative Analysis of Scottish and German Criminal Procedure, p.78

[76] Family violence in Canada: A statistical profile 2018 იხ. https://www150.statcan.gc.ca/n1/pub/85-002-x/2019001/article/00018-eng.htm

ყოველივე ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე, რამოდენიმე ქვეყნის მაგალითის შედარებით ქართულ კანონებთან, ვფიქრობ ოჯახში ძალადობის პრევენციისათვის , არაერთი ცვლილება არის განსახორციელებელი ქართულ კანონმდებლობაში .

დასკვნა

ნაშრომში განვიხილეთ ოჯახში ძალადობის არსი და ძალადობის გამოვლენის ფორმები , მსხვერპლად ქცევის რისკები,მომალადედ ქცევის ფაქტორები, .ოჯახში ძალადობის პრევენციის გამოწვევები და პრობლემური ფაქტორები, ასევე არსებული საკანონმდებლო პრაქტიკის ხარვეზები , საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობასთან ბრძოლისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა , ასევე ის სამართლებრივი ჩარჩოები რომელსაც ვერ გავცდებით ამ ეტაპზე და რომელიც გარკვეულწილად შესაცვლელია. განვიხილეთ პრობლემა ისტორიული კუთხითაც და შევაფასეთ საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი ამ პრობლემის პრევენციისათვის. გადმოვეცით შეძლებისდაგვარად უცხო ქვეყნების ის საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც ჩემს მიერ შესწავლილი ასალის ანალიზით დასანერგია ქართულ კანონმდებლობაში. ყოველივე ზემოთ განხილული საკითხებიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ, ოჯახში ძალადობის პრევენცია სხვადასხვა მექანიზმების ერთობლივად განხორციელებაში უნდა გამოიხატოს. პირველ რიგში აუცილებელია მსხვერპლის იდენტიფიცირება და ძალადობის გამომწვევი მიზეზების შესწავლა. რით არის ეს კონკრეტული მიზეზი გამოწვეული, სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობით, თუ მოძალადის პიროვნული თვისებებით. უნდა დაიხვეწოს მსხვერპლის თავდაცვის მექანიზმები და მათი სარეაბილიტაციო ღონისძიებები. სავალდებულო უნდა გახდეს დაზარალებულის მიერ ჩვენების მიცემა ოჯახში ძალადობის პროცესებზე. თითოეული ღონისძიება განხილული უნდა იყოს ერთ მთლიანობაში, კომპლექსურად. მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაღრმავება, ინფორმაციების გაცვლა როგორც ცალკეულ სპეციალისტებს, ისე სახელმწიფო უწყებებს შორის.

.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორსიო სამართალი, თბ., 2015,
2. ბოჭორიშვილი მ., მესხი მ., და სხვ. სახელმძღვანელო პოლიციელთათვის ოჯახში ძალადობის საკითხებზე, თბილისი, 2010წ
3. გაბრიჩიძე,საოჯახო კონფლიქტის შედეგად ჩადენილი მკვლელობის გამოძიების მეთოდიკა, თბ,2005. გვ,
4. გოგუაძე - აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების თავისებურებანი ოჯახში
5. დობაში რ.პ. და სხვები. (1999), “მოძალადე კაცების ბრიტანული პროგრამების კვლევის შეფასება”, სოციალური პოლიტიკის ჟურნალი, 1999 წლის აპრილი, ტ. 28, გამოცემა 02
6. ჩადენილი ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებზე, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები #2, თბილისი, 2017,
7. ლეკვეიშვილი მ., თოდუა ნ., მამულაშვილი გ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I,

8. პატარაია, ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, სოციალური მომსახურება- ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის დაკარგული ნაწილი, პოლიტიკის დოკუმენტი, თბილისი, ივლისი, 2016 წელი
9. პოლიციის მუშაკთა სახელმძღვანელო. 2011 გვ. 15
10. საერთაშორისო და რეგიონული ნორმატიული ინსტრუმენტები ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის შესახებ, Sida, UNDP, თბილისი, 2008
11. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი-სახელმძღვანელო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირებისთვის - გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)-2014 წელი. 5 გვ.
12. სახელმძღვანელო პოლიციის მუშაკთა ტრენერებისთვის 2011
13. ტურავამ., სისხლისსამართალი, ზოგადინაწილისმიმოხილვა (მეცხრეგამოცემა), 2013 წელი,
14. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2011წ
15. შალიკაშვილი მ. , ძალადობის კრიმინოლოგია, გამომცემლობა მერიდიანი, 2012 წელი,
16. შალიკაშვილი მ., ვიქტიმოლოგია, თბილისი, 2017
17. ჩიტაშვილი, ჯავახიშვილი. ქალთა მიმართ ოჯაშხი ძალადობის საკითხების ეროვნული კვლევა საქართველოში (2010)
18. ჭაბუკიანი, გ. ჯიბლაძე, ნ. უბილავა, საქართველოში ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის ანალიზი, ქალთა ფონდი საქართველოში, თბილისი,
19. A. Harvey, C. Garcia-Moreno, A. Butchart - Primary prevention of intimate-partner violence and sexual violence, 2007
20. Barbera, Messegue, Jabardo v. Spain, №10590/93, 6/12/1988, გვ.68
21. E.S. and Others v. Slovakia, 2009წ

22. Evidentiary Barriers to Conviction in Cases of Domestic Violence: A Comparative Analysis of Scottish and German Criminal Procedure, Michael C.Wutz,
23. Family Law Act of the United Kingdom1996Part IV
24. Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls;UNODC, Viena, 2014; ȝ3 88
25. J. Doak, Victims' Rights, Human Rights and Criminal Justice: Reconceiving the Role of Third Parties (Hart Publishing: Oxford and Portland, 2008)
26. Michael C. Wutz, Evidentiary Barriers to Conviction in Cases of Domestic Violence: A Comperative Analysis of Scottish and German Criminal Procedure, p.78
27. Multi-sectoral response to GBV, AN effective and coordinated way to protect and empower GBV victims/survivors, 2015,UNFPA, East European Institute for Reproductive Health
28. NICOLAIDIS, C., CURRY, M.A., ULRICH, Y., SHARPS, P., McFARLANE, J., CAMPBELL, D., GARY, F., LAUGHON, K., GLASS, N., and CAMPBELL, J. (2003), "Could We Have Known? A Qualitative Analysis of Data from Women Who Survived an Attempted Homicide by an IntimatePartner", in Journal of General Internal Medicine, Vol.18, October 2003, ȝ3. 792
29. Preventing and combating domestic violence against women (A learning resource for training law-enforcement and justice officers), CoE, (2016) p.61.)
30. Preventing da Combating domestic violence against women, a learning resource for training law enforcement da justice officers, Counsil of Europe,2016; ȝ3 66-67
31. S.Kishor, K.Johnson - Profiling Domestic Violence, 2004
32. Special Rapporteur on Violence against Women, Framework for Model Legislation on Domestic Violence,.N U. Doc. E/CN.4/1996/53/Add.2. Office of the United Nations High Commissioner for Human Rights (OHCHR) appoints SpecialRapporteur on violence against women and domestic violence who has

special mandate to undertake country visits, submit annual reports, transmits urgent appeals and communications to States regarding alleged cases of violence

33. Spinelli, B: “Femicide and Feminicide in Europe. Gender-motivated killings of women as a result of intimate Partner of intimate partner violence”, Expert Paper, October 2011,
34. State Government of Victoria, Family Violence Risk Assessment and Risk Management Framework and Practice Guides, Australia, 2012
35. T McCormick, ‘Convicting Domestic Violence Abusers when the Victim Remains Silent’ (1998) 13 BYU Journal of Public Law 428 at p.431
36. U.N. Economy & Social Council, Radhika Coomaraswamy, Report of the Special Rapporteur on Violence Against Women, Its Causes and Consequences, U.N. Doc. E/CN.4/1996/53, 1996.
37. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში“ ეროვნული კვლევა 2013 გვ 25.
38. ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში 2014
39. ვენის კონვენცია სახელშეკრულებო სამართლის შესახებ (ვენა, 1969 წლის 23 მაისი), http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi78.pdf
40. თბილისისსაქალაქოსასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრისგანაჩენი, საქმე N1/3588-17.)
41. ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონი მუხლი 9
42. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი, www.mfa.gov.ge
43. საქართველოს 2018 წლის 30 ნოემბრისკანონი №3772
44. საქართველოს კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ 2010.26.03

45. საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ზალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ. მე-4 მუხლი, „ზ“ ქვეპუნქტი.
46. საქართველოს კანონიოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ
47. საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის 4.12.2017 წერილი N 36207
48. საქართველოს მთავრობის განკარგულება #55 2011 წლის 13 ინვარი. ოჯახში მოძალადეთა რეაბილიტაციის კონცეფციის შესახებ
49. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
50. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის
51. სოციალური ნორმების ანალიზი ბავშვთა მიმართ ძალადობის კონტექსტში. 2016 წელი, ნოემბერი. გვ 9-10.
52. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის რეკომენდაცია #19
53. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციის და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია. ე.წ. სტამბულის კონვენცია
54. “ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია
55. “ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ” ევროპის საბჭოს კონვენცია
56. შსს მინისტრის 2014 წლის 9 დეკემბრის N45 ბრძანება „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ღონისძიებების გამკაცრების შესახებ“.
57. ძალადობის პრევენციის ეროვნული სტრატეგია
58. www.un.org/russian/documen/declarat/violence.htm “ოჯახში ძალადობა დ სამართლებრივი დახმარება” 2009 w.
59. http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf

60. ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირებთან მუშაობა ევროპაში - Daphne II პროექტი 2006- 2008 - www.work-with-perpetrators.eu

61. Family violence in Canada: A statistical profile 2018 იხ. https://www150.statcan.gc.ca/n1/pub/85-002-x/2019001/article/00018-eng.h